# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 30 სექტემბერი 2004 №227 (2248) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გო-ლი! გო-ლი!

# დი ნა მო

## ფიქრნი ვისლას პირას

ახლა სამსახურში ვზივარ და სულ ხვალინდელ თამაშზე ვფიქრობ, საქმეს ველარ ვაკეთებ... მაგრამ ერთადერთი, რატომაც შენიშვნას არ მაძლევენ, ისაა, რომ ყველა ამ თამაშზე ფიქრობს... მართალიცაა, რა დროს პატარ-პატარა საქმეებია ან შეიძლება დიდიც — იმაზე დიდი რა უნდა იყოს, რომ „დინამო“ უნდა დაბრუნდეს იქ, სადაც ეკუთვნის ადგილი, ნაღდად ეკუთვნის იმიტომ, რომ თბილისის „დინამოა“! კიდევ იმიტომ უნდა შეძლოს, რომ კარგი ბიჭები თამაშობენ „დინამოში“, იმიტომ, რომ მწვრთნელიც კარგი ჰყავთ და კიდევ იმიტომ, რომ ჩვენ ყველა სტადიონზე წავალთ და „დინამოს“ შეტევებს თუ გაუძლო „ვისლამ“, ჩვენ ვერ გაგვიძლებს! ძალიან ხმამაღლა უნდა ვიყვიროთ: დი-ნა-მო! დი-ნა-მო! გო-ლი! გო-ლი!

*ერთი თბილისელი გულშემატკივრის წერილი „სარბიელს“*



ვუქომაგოთ დინამოს, ვიყვიროთ, ვიღრიალოთ... პოლონელებს ყურთასმენა წავუღოთ!



გავატანოთ ვისლას ჩვენი გამარჯვების გოლი!

# შეასრულე!

## თქვენთვის და ჩემთვის, ბატონო პრემიერო




ჩემპიონთა ლიგის მეორე ტური მიილია და ვერ ვიტყვით, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, რადგან სამშაბათიც და ოთხშაბათიც მეტად გოლუხვი გამოდგა ევროპაში. ბევრი კოხტა გოლით გვასიამოვნა ლიგამ. მილანელი ანდრეი შევჩენკოსთვის და „მილანის“ პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონისთვის კი გუშინ არაჩვეულებრივი დღე იყო: ორივეს დაბადების დღე ჰქონდა. ვეჭვობთ, რომ „სელტიკთან“ გამარჯვების შემდეგ დანებიც გატორტიანდებოდა, სანთლებსაც შეუბერავდნენ და შამპანურიც ამოხეთქავდა. სილვიო ბერლუსკონი იტალიის პრემიერ-მინისტრია, შევჩენკო კი „მილანის“ არანაკლები პრემიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

## ჯგუფური ეტაპი. II ტური. წუხელ

### E ჯგუფი

#### პსვ ეინდჰოვენი 1:0 პანათინაიკოსი

1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (80)

პსვ ეინდჰოვენი: გომესი, ლუსიუსი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, პარკი (ფოგელი 89), ვან ბომელი, კოკუ, ფარფანი (სიბონი 63), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ჯ. დე იონგი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

პანათინაიკოსი: ხალკიასი, ვინტრა (საპანისი 84), გუმასი, კირიაკოსი, მიუნხი, ბასინასი, ანდრიჩი, სკაჩელი (ეპალე 59), ე. გონსალესი, პაპადოპულოსი (მორისი 71), კონსტანტინუ

მწვრთნელი: იცხაკ შუმი

გაფრთხილება: დე იონგი, კონსტანტინუ, ბასინასი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

26 500 მაყურებელი

#### რუსენბორგი 1:1 არსენალი

0:1 ლიუნგბერგი (6), 1:1 სტრანდი (52)

რუსენბორგი: ე. იონსენი, ჰოფტუნი, ვინსნესი, ბასმა (რასელი 74), სტრანდი (ჯორჯი 64), ფ. იონსენი, რისეტი, სოლი, სტორფლორი, ბრატბაკი (ბრაატენი 82), დორსინი

მწვრთნელი: ოლა-ბი რისე

არსენალი: ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ედუ, პირესი (ვან პერსი 82), ანრი, რეიესი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მსაჯი: ფლორიან მეიერი (გერმანია)

21 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| პსვ ეინდჰოვენი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| პანათინაიკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

III ტური, 20 ოქტომბერი

რუსენბორგი — პსვ ეინდჰოვენი

პანათინაიკოსი — არსენალი

### F ჯგუფი

#### მილანი 3:1 სელტიკი

1:0 შევჩენკო (8), 1:1 ვარგა (75), 2:1 ინძაგი (89), 3:1 პირლო (90)

მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო, გატუზო (რუი კოშტა 86), პირლო, ზეედორფი (ამბროზინი 77), კაკა, შევჩენკო, ტომასონი (ინძაგი 77)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

სელტიკი: მარშალი, აგატი, ბალდე, ვარგა, ვალგაერენი, ლენონი, პეტროვი, სატონი, ა. ტომპსონი (ჟუნინიო პაულისტა 59), ჰარტსონი (სილა 86), ა. კამარა

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: სატონი

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

52 648 მაყურებელი

#### ბარსელონა 3:0 შახტარი

1:0 დეკო (15), 2:0 რონალდინიო (64პ), 3:0 ეტოო (89)

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი (ფ. ნავარო 90), ვან ბრონკჰორსტი, ხავი, ედმილსონი, დეკო (ინიესტა 83), ჟიული (ლარსონი 76), რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

შახტარი: ლაშტუვკა, ბარკაუანი, სტოიკანი, ლევანდოვსკი, რაცი, ტიმოშჩუკი, დულიაი, მატუზალემი, ვუკიჩი (ბახარევი 76), ბრანდაუ (ვორობეი 46), მარიკა

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: ლევანდოვსკი, ვან ბრონკჰორსტი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

75 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| სელტიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| შახტარი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

III ტური, 20 ოქტომბერი

მილანი — ბარსელონა

შახტარი — სელტიკი

### G ჯგუფი

#### ანდერლეხტი 1:3 ინტერი

0:1 მარტინსი (9), 0:2 ადრიანო (51), 0:3 სტანკოვიჩი (55), 1:3 ბასეჯიო (90)

ანდერლეხტი: პეერსმანი, ვანდენ ბორე, კომპანი, ლ. ტრაორე, დეშახტი, მპენზა, ჰასი (ბასეჯიო 63), ზეტერბერგი, ვილჰელმსონი, დინდანე, იესტროვიჩი (იაშჩუკი 70)

მწვრთნელი: უგო ბროოსი

ინტერი: ტოლდო, ზე მარია, კორდობა, ბურდისო, ფავალი (ხ. ძანეტი 51), სტანკოვიჩი (დავიდსი 68), ვერონი, კამბიასო, ემრე, ადრიანო (ხ. კრუზი 67), მარტინსი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ტრაორე, ჰასი, ვერონი, მარტინსი

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

25 000 მაყურებელი

#### ვერდერი 2:1 ვალენსია

0:1 ვისენტე (2), 1:1 კლოზე (60), 2:1 ხარისტიასი (84)

ვერდერი: რაინკე, სტალტერი, შულცი (ხარისტიასი 61), ფარენჰორსტი, მანინი, ბოროვსკი, ერნსტი, მიკუ, კლოზე, ნ. ვალდესი, კლასნიჩი

მწვრთნელი: თომას შააფი

ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, დ. ნავარო, მარჩენა, კარბონი, ანგულო, ალბელდა, ბარახა (სისოკო 74), ვისენტე (მორეტი 80), კორადი, დი ვაიო (პელეგრინო 57)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: კლოზე, მარჩენა, ბარახა, ანგულო, მიკუ, კლასნიჩი, მარჩენა, სტალტერი, ალბელდა

გაძევება: მარჩენა (55)

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

43 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ვერდერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ანდერლეხტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

III ტური, 20 ოქტომბერი

ანდერლეხტი — ვერდერი

ვალენსია — ინტერი

### H ჯგუფი

#### ცსკა 2:0 პსჟ

1:0 სემაკი (64), 2:0 ვაგნერი (77პ)

ცსკა: აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, რ. გუსევი (კირიჩენკო 69), ალდონინი, ჟირკოვი, რახიმიჩი, იაროშიკი, ოლიჩი (სემაკი 57), ვაგნერი (ვ. ბერეზუცკი 89)

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

პსჟ: ლეტიზი, მენდი, პიერ-ფანფანი, ელდერი, არმანი, ბადიანი, ე. სისე (მბამი 23), ჩანა, კორიდონი (პანკრატი 74), პაულეტა, ლიუბოია (რეინალდო 80)

მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი

გაფრთხილება: მენდი, რახიმიჩი, ბადიანი

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

28 000 მაყურებელი

#### ჩელსი 3:1 პორტუ

1:0 სმერტინი (7), 2:0 დროგბა (50), 2:1 მაკკარტი (68), 3:1 ტერი (70)

ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, რ. კარვალიუ, გალასი, სმერტინი, ლამპარდი, მაკელელე, დაფი (ტიაგუ 67), დროგბა (ჯერემი 88), გუდიონსენი (კეჟმანი 80)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

პორტუ: ვიტორ ბაია, ჟორჟე კოშტა, რიკარდუ კოშტა, პეპე, ბოსინგვა, კვარესმა (კარლოს ალბერტო 58), კოშტინია, მანიშე, დიეგო, ლუის ფაბიანო (მაკკარტი 58), დერლეი სილვა (პოსტიგა 81)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: ლუის ფაბიანო, გალასი, კარვალიუ, სმერტინი, დერლეი სილვა, პეპე

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

39 237 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ცსკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| პორტუ | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| პსჟ | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

III ტური, 20 ოქტომბერი

პსჟ — პორტუ

ჩელსი — ცსკა

# შევჩენკომ დღეობაზე ფეხი გაშალა





REUTERS

ანდრეი შევჩენკომ გაიტანა და გოლსმონატრებულ ფილიპო ინძაგისაც გაატანინა

„მილანის" იუბილარმა ანდრეი შევჩენკომ „სელტიკს" გაუტანა და დაბადების დღისთვის საჩუქარი უძღვნა საკუთარ თავს და კიდევ ერთ იუბილარს, იტალიის პრემიერ-მინისტრსა და „მილანის" პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის. მაგრამ ფილიპო ინძაგის გოლს სულ სხვა გემო ჰქონდა, რადგან ტრავმამოშუშებულ, გოლსმონატრებულ პიპოს კარში ბურთის შეგორება უზომოდ გაუხარდა. თან, ინძაგიმ ეს 89-ე წუთზე მოახერხა, როცა ანგარიში 1:1 იყო და „სელტიკი" მილანიდან ქულის წაღებაზე ფიქრობდა. „შავ-წითლები" მალევე დაწინაურდნენ იუბილარის ზუსტი ცაცხით და გლაზგოელთა გამთანაბრებელ გოლამდე რამდენიმე კარგი მომენტიც შექმნეს, თუმც ვერ გამოიყენეს და შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე სტანისლავ ვარგამ თავური დარტყმით იხეირა. ამ დროისთვის „მილანი" მინელებული ჩანდა, „სელტიკმა" კი მოსაგებად გაიწია, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ფილიპო ინძაგიმ შევჩენკოს ჩაწოდებულ ბურთს ფეხი საგოლედ დაუხვედრა. ანდრეა პირლომ კი უკრაინელის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო გამოიყენა — ბურთს ლენონის თავმა მიმართულება შეუცვალა და სტუმართა კარის ბადეში ჩაეშვა. საბოლოოდ კი მაინც ის გამოვიდა, რომ ყველა გოლში ანდრეი შევჩენკოს ფეხი ერია და დაბადების დღეც დასამახსოვრებელი გამოდგა.

ზემოთ გოლი და გემო ვახსენეთ, ჰოდა, „ბარსელონა" — „შახტარის" შეხვედრაში ანდრეს ინიესტას ნამოქმედარი ნებისმიერ გურმანს დააკმაყოფილებდა. ინიესტამ რამდენიმე მეშახტე მცველი მეკარიანად დაალაგა მინდორზე, მაგრამ კარში არ დაარტყა და სამუელ ეტოო ახეირა. მანამდე, პირველ ტაიმში, „ბარსელონა" დეკომ დააწინაურა, ხოლო შესვენების შემდეგ მოედნის ცენტრიდან გაქცეულმა რონალდინიომ მეკარე ლაშტუვკასთვის თავზე ბურთის გადავლება სცადა, ლაშტუვკამ მოიგერია, მაგრამ ბურთი ბრაზილიელმა მოიხელთა და მეკარეც მხრებზე ჩამოეკიდა, რაც პენალტად დაუჯდა. „რონიმ" უძლიერესი დარტყმით თავად გამოიყენა თერთმეტმეტრიანი.

გაარისტოკრატებულმა ჟოზე მაურინიუმ „პორტუს" სამი ქულა დაატოვებინა. ყოფილი დამრიგებელი ყოფილ შეგირდებს შეხვდა, რომელთა ავან-ჩავანიც შესანიშნავად იცის. ამიტომაც, გასაკვირი სულაც არაა, „ჩელსიმ" „პორტუს" რომ მოუგო.



REUTERS

იან ლაშტუვკა რონალდინიოს წაქცევისთვის პენალტით დაისაჯა

ცსკა-სა და პსჟ-ს მოსკოვურ შეხვედრაში ვალერი გაზაევმა ვაჰიდ ჰალილჯოჯიჩს სძლია და ბოსნიელი მწვრთნელის პარიზული მომავალი უფრო ბუნდოვანი გახადა. პსჟ „მაკაბის", „აიაქსს", „შახტარს" და „დეპორტივოს" შეუერთდა. ამ ხუთ გუნდს ლიგაში ჯერ გოლი არ გაუტანიათ.

რობერტო მანჩინის „ინტერმა" ბრიუსელში კოხტა გოლებით მოიგო. ობაფემი მარტინსმა „შავ-ლურჯები" დააწინაურა, მერე ადრიანომ აჩვენა, რომ კისრის კუნთები ფეხის კუნთებზე არანაკლებ ნავარჯიშები აქვს და ღონიერი თავურით ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა, ხოლო დეიან სტანკოვიჩმა საჯარიმოს ხაზიდან მოსხლიტა ბურთი და მარცხენა დაბალ კუთხეში შეასრიალა. მასპინძლებმა ბოლოს ერთის გაქვითვა მოახერხეს.

ბრემენში მაიკ რაილის ყვითელ-წითელი ბარათების ფრიალი არ დაზარებია. „მუსიკოსებს" ვისენტემ მალევე გაუტანა, მაგრამ მიროსლავ კლოზემ შესვენების შემდეგ გაათანაბრა. ამ დროისთვის „ვალენსიას" კარლოს მარჩენა უკვე გაძევებული იყო. „ვერდერის" ბერძენმა, ევროჩემპიონმა ანგელოს ხარისტიასმა მატჩის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე გამარჯვების გოლი შეაგდო და კლაუდიო რანიერის საამსეზონო უძლეველი სვლა შეწყვიტა.

ეინდჰოვენში პსვ-მ ვენეგოორ ოფ ჰესელინკის წყალობით გამოწურა სამი ქულა, ხოლო ტრონჰეიმში დაწინაურებულ „არსენალს" სტრანდმა საამო გოლით გაუთანაბრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

ჩემპიონატი. XI ტური

დერბი ქაუნთი 1:1 ვესტ ჰემი

ნოტინგემი 0:1 ბრაიტონი

## სლოვენია

თასის პირველი ეტაპი

კიდრიჩევო 1:2 *ნაფტა*

*დრავოგრადი* 5:2დდ(2:2) პრიმორიე

*დომჟალე* 2:1დდ(1:1) ლიუბლიანა

*მურა* 4:0 შმარტნო

*ოლიმპია* 2:0 ფაქტორი

*პუბლიკუმი* 2:0 იზოლა

## სლოვაკეთი

თასის პირველი ეტაპი

ტეპლიცე 1:2 *რუჟომბეროკი*

## იტალია

თასის მეორე ეტაპი

საპასუხო მატჩები

რეჯინა 2:3 *ატალანტა* (1:4)

*ლეჩე* 3:1 ლივორნო (1:2)

კიევო 1:1 *ტორინო* (0:1)

ბრეშა 2:2დდ(1:1) *ფიორენტინა* (1:1)

*კალიარი* 3:1 ტრიესტინა (3:1)

*ბოლონია* 3:4 ტერნანა (3:1)

## ავსტრია

მეფისის თასი

მეორე ეტაპი

პაიცენდორფი 1:2 *ზალცბურგი*

*სენტ პოლტენი* 2:1 ბრეგენცი

პარნდორფი 0:2 *შტურმი*

## დანია

თასის მეორე ეტაპი

დალუმი 0:2 *ნორდსიელანდი*

*ფრემი* 3:0 რანდერსი

*ფრემადი* 3:2 ფრედერისია

ავარტა 1:2დდ(1:1) *იოლსტიკე*

*ჰორსენსი* 4:3დდ(2:2) სილკებორგი

კალუნდბორგი 1:4 *კიოგე*

ბ-1913 ოდენსე 2:5 *ორჰუსი*

გლოსტრუპი 1:3 *სონდერიულანდი*

*სკიოლდი* 1:0 ვიბორგი

## შვედეთი

სუპერთა

გადადებული მატჩი

ჰეკენი 2:0 ენჩიოპინგი

# დინამო ვალდებულია, ქომაგი უფლებამოსილი: ვისლა უნდა გავიაროთ!

დღეს მნიშვნელოვანი დღეა და შეიძლება, დიდი ამბავიც მოხდეს — თბილისის „დინამოს“ კარგი შანსი აქვს, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდეს. იმასაც შეგახსენებთ, რომ „ვისლა“ ის გუნდია, ამ ევროტურნირებზე ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვიტ ჯორჯიას“ 8:2 და 3:0 რომ მოუგო.

თამაში ეროვნულ სტადიონზეა, რომლის პლასტმასის სკამები ოდენ 19 ათას კაცს იტევს, უეფას მოთხოვნით კი სხვა, ოდინდელ ხის სკამებზე მაყურებელი არ უნდა განთავსდეს — „დინამოს“ ხელმძღვანელობაც ყველანაირად ცდილობს, სტადიონზე მხოლოდ ბილეთიანი გულშემატკივარი შევიდეს, რათა „დინამო“ უეფამ არ დააჯარიმოს.

ერთი სიტყვით, „ეროვნულს“ 19 ათასი პლასტმასის სკამი კი აქვს, მაგრამ გასაყიდად სულ 17 ათასი ბილეთი გაიტანეს. გუშინ უკვე გაყიდული იყო თითქმის 10 ათასი ბილეთი. 19 ათასს ორი იმიტომ მოაკლდა, რომ ათასი ადგილი პოლიციას და უშიშროებას მიაქვს, რამდენიმე ასეული მასმედიაზე, ყოფილ ფეხბურთელებზე და მოსაწვევებზე ნაწილდება.

გუშინ „დინამოს“ ქვეყნის პრეზიდენტის დაცვის სამსახურიც ეწვია — მიხეილ სააკაშვილი „დინამო“-„ვისლას“ დაესწრება, თუმც პრეზიდენტი VIP ლოჟაში მოკალათდება თუ ტრიბუნაზე, ჯერ უცნობია.

მოკლედ, გულშემატკივრის ფაქტორი დღევანდელი მატჩისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია და თვით პრეზიდენტსაც სურს წვლილის შეტანა „დინამოს“ წარმატებაში, თუმც კარგი იქნება, თუ ხელისუფლება ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციაშიც დაეხმარება ქართულ ფეხბურთს.



გუშინვე „დინამოს“ დიღმის ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა *გია გეგუჩაძემ.* ღონისძიებაზე არ იყვნენ პოლონელი ჟურნალისტები — როგორც „დინამოში“ გვითხრეს, პოლონელი მედიელები ჯერ არ ჩამოსულან თბილისშიო. სხვა რა ჩარა იყო, გეგუჩაძეს კითხვები ოდენ ქართველებმა დავუშინეთ.

— გუნდში ნორმალური სიტუაციაა. დავით კვირკველია უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ტრავმიანობის გამო მხოლოდ ირაკლი ზოიძე მოგვაკლდება, ფორმაში ჯერ არ არის ლევან სილაგაძეც. ურთულესი შეხვედრა გველის, მაგრამ მხარდაჭერასაც ვგრძნობთ.

— როგორ შეადარებდით „ვისლას“ „დინამოს“ უწინდელ მეტოქეებს — ბელარუსულ ბატეს და ჩეხურ „სლავიას“?

— „ვისლა“ მათზე ძლიერია, გამოცდილი გუნდია და შემტევ ფეხბურთს თამაშობს. პოლონეთის ჩემპიონატში „ვისლა“ თითქმის ყველა თამაშს დიდი ანგარიშით იგებს, მატჩში საშუალოდ ხუთი გოლი გააქვს და რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელიც ჰყავს.

— რა იქნება გადამწყვეტი ფაქტორი ამ შეხვედრაში?

— ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მდგრადობა. ისეთი სურათია შექმნილი, რომ გულშემატკივართან დინამოელები ვალდებულნი არიან, „ვისლა“ გაიარონ — ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ჩვენს ფეხბურთელებს. ამ თამაშში ყველაფერი შეიძლება მოხდეს — კორექტივების შეტანა, გარდაქმნა, გადაწყობა — ესეც ერთობ მნიშვნელოვანი იქნება. რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია გულშემატკივრის ფაქტორიც.

— „ვისლა,—„დინამოს“ შემდეგ პოლონურ პრესაში დაიწერა, „დინამოს“ კარგი თამაში იმით იყო განპირობებული, რომ „ვისლამ“ მეტოქე სათანადოდ ვერ შეაფასაო — ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?

— ვფიქრობ, ასეთი შეხედულება „დინამოს“ სულაც არ აკნინებს. შეუფასებლობის მომენტი კი მართლაც იყო, რადგან „ვისლამ“ საქართველოს ჩემპიონთან სულ სხვა შედეგს მიაღწია.

— „დინამოს“ შემადგენლობაში კრაკოვული მატჩისგან განსხვავებით ცვლილებები თუ იქნება?

— თბილისში სხვა თამაში იქნება და ფეხბურთელებს განსხვავებულ დავალებებს მივცემთ, ხოლო შემადგენლობის მხრივ მკვეთრი ცვლილება არ იქნება.

— „დინამოს“ პირველი მეკარე ირაკლი ზოიძე არ ეყოლება, ზურაბ მამალაძე კი გამოცდილებით მკვეთრად ჩამოუვარდება მას...

— მამალაძეს გამოუცდელ მეკარედ არ მივიჩნევ, ის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე გახლდათ და ეროვნულშიც იყო მიწვეული. რაც მთავარია, მამალაძე ჩამოყალიბებული პიროვნებაა.

# არ ავჩქარდებით

ახალგაზრდული ჟინი და შემართება ერთია, მაგრამ ასეთი რანგის მატჩებში ძალიან ფასობს გამოცდილებაც. აი, რას ფიქრობენ „დინამო“—„ვისლაზე“ თბილისელთა გამოცდილი ფეხბურთელები...

*გიორგი ნემსაძე:* შინაგანი მღელვარება გამოცდილ ფეხბურთელსაც ეუფლება, როცა ასეთი მნიშვნელოვანი მატჩი ელის — კარგი გუნდის წინააღმდეგ გვიწევს თამაში. 4:3 ისეთი ანგარიშია, გულშემატკივარი ჩვენგან აუცილებლად მოითხოვს შემდეგ ეტაპზე გასვლას.

— უმთავრესად რამ უნდა განაპირობოს ამ მატჩის შედეგი?

— ბრძოლამ, თავდადებამ და სწორმა თამაშმა, მაგრამ ყველა ეს კომპონენტი მეტოქესაც აქვს.

— კრაკოვში მეტოქემ „დინამოს“ მეტწილად აგრესიის ხარჯზე აჯობა...

— გეთანხმებით, „ვისლამ“ მეორე ტაიმში მართლაც აგრესიულობით გვაჯობა, ჩვენც პირველი ტაიმის შემდეგ თვითკმაყოფილება ვიგრძენით — 2:0 ვიგებდით.





— ახლა კი „დინამო“ იძულებულია, შეუტიოს და გოლი გაიტანოს — ამით თამაში გაიხსნება და მეტოქესაც გაუადვილდება იერიშები?

— მხოლოდ და მხოლოდ უნდა შევუტიოთ, მაგრამ არ ვიჩქარებთ — ჩვენს განკარგულებაში [illegible] წუთია და [illegible] უნდა ვითამაშოთ.

*დავით კიკვიძე:* „ვისლას“ [illegible] კარლები ჰყავს — [illegible] და ფრანკოვსკი. ასეთი [illegible] არიან, მაგრამ მათ მთლიანად, გუნდური მობილიზება უნდა დავუპირისპიროთ.

— ესე იგი, სისწრაფეში „ვისლას“ ფორვარდებს არაფერს დაუთმობთ?

— არანაირად.

— შენ ალბათ მეტწილად დაზღვევაზე მოგიწევს თამაში.

— მარტო დაზღვევაზე არა — ჩვენ ოთხი მცველით ვთამაშობთ და ყველამ ერთმანეთი უნდა დავაზღვიოთ.

— შანსებზე რას იტყოდი?

— ვფიქრობ, ჩვენ ოდნავ უკეთესი შანსი გვაქვს.

# ჩვენ ვართ, ჩვენ ვართ ფანები!

ეს თბილისის „დინამოს“ ხელახლად შექმნილი ფანკლუბი გახლავთ, ხოლო ეს ჰალსტუხიანი კაცი „დინამოს“ მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილია.

„დინამოს“ ფანკლუბი ზედ „ვისლასთან“ დღევანდელი მატჩის წინ აღადგინეს და ეს სიმბოლური ჟესტი გუშინ დიღმის ბაზაზე ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმაც დააფიქსირა.

ფანობამ და ფეხბურთმა არანაირი სუბორდინაცია არ იციან, ეს „დინამოს“ მმართველ დირექტორსაც გაუთავისებია და ამიტომაც ჩამდგარა რიგითად ფანებში.

დღეს ყველა რიგითი ფანია, ვისაც „დინამო“ უყვარს და ვისაც სტა[illegible] წასვლა არ ეზარება — ფეხბურთის გულშემატკივარი აც[illegible] და ახლა „დინამოს“ ჯერია...




## di_na_mo_fan@hotmail.com

# ვისლას ჩვენც უნდა შევუტიოთ!

დღეს საღამოს უკვე გვეცოდინება, დამთავრდა თუ გრძელდება „დინამოსთვის“ ევროსეზონი. იმედი გვაქვს, რომ გაგრძელდება. თუმცა როგორც არ უნდა დამთავრდეს მატჩი, ნუ დაიზარებთ და თქვენი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეთ.

იქამდე კი ჩვენს ფოსტაში გუშინ მოსული წერილები შეგვიძლია განვიხილოთ.

აქამდე გულშემატკივართა წერილებს შეძლებისდაგვარად უცვლელად ვბეჭდავდით და თუგინდ ძალიან ბევრი და ვრცელი ყოფილიყო, ვცდილობდით, გული არავისთვის დაგვეწყვიტა და ყველას მოსაზრება გამოგვექვეყნებინა.

მაგრამ დღეს გადავწყვიტეთ, სხვაგვარად მოვიქცეთ და მხოლოდ ერთი წერილი გამოვაქვეყნოთ.

აი, რატომ:

გულშემატკივრებისგან გუშინ მოსული წერილები არაერთგვაროვანია. თითოეულ მათგანში არის სურვილი, რომ „დინამო“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდეს, მაგრამ ამ სურვილის მერე აზრი იყოფა. ზოგი წერილის ავტორი „დინამოს“ დღევანდელ გამარჯვებაში დარწმუნებულია, ზოგს ეჭვი ეპარება. ზოგი კლუბის უფროსობას სასელექციო მუშაობას უწონებს, ზოგი პირიქით და ასე შემდეგ.

თავისთავად კარგია, რომ ბევრი აზრი არსებობს, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ თამაშის დღეს უმჯობესი იქნებოდა, მხოლოდ გამამხნევებელი წერილები გამოგვექვეყნებინა და თუ საკრიტიკოა რამე, დღეს მოვერიდოთ და მერე ვთქვათ.

გამამხნევებელი წერილები კრიტიკულზე მეტი მოგვივიდა და მათი შინაარსი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ამიტომ მათგან ერთი, ჩვენი აზრით, ყველაზე ემოციური შევარჩიეთ და თქვენი ნებართვით ამ წერილით გვინდა გავაცილოთ „დინამო“ სათამაშოდ.

ახლა სამსახურში ვზივარ და სულ ხვალინდელ თამაშზე ვფიქრობ, საქმეს ველარ ვაკეთებ... მაგრამ ერთადერთი, რატომაც შენიშვნას არ მაძლევენ, ისაა, რომ ყველა ამ თამაშზე ფიქრობს... მართალიცაა, რა დროს პატარ-პატარა საქმეებია ან შეიძლება დიდიც — იმაზე დიდი რა უნდა იყოს, რომ „დინამო“ უნდა დაბრუნდეს იქ, სადაც ეკუთვნის ადგილი, ნაღდად ეკუთვნის იმიტომ, რომ თბილისის „დინამოა“! კიდევ იმიტომ უნდა შეძლოს, რომ კარგი ბიჭები თამაშობენ „დინამოში“, იმიტომ, რომ მწვრთნელიც კარგი ჰყავთ და კიდევ იმიტომ, რომ ჩვენ ყველა სტადიონზე წავალთ და „დინამოს“ შეტევებს თუ გაუძლო „ვისლამ“, ჩვენ ვერ გაგვიძლებს! ძალიან ხმამაღლა უნდა ვიყვიროთ: დი-ნა-მო! დი-ნა-მო! გო-ლი! გო-ლი!

მუდამ თქვენი TARQUEMADA

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰენრიკ კასპერჩაკი: დინამოს გოლის გატანა შეუძლია, მაგრამ ჩვენ მოსაგებად ვითამაშებთ



„ვისლას" პრეზიდენტი ტადეუშ ჩერვინსკი, „დინამოს" მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი და უეფას დელეგატი გევორქ ოვანესიანი

თბილისში გუშინ კრაკოვის „ვისლა" ჩამოვიდა, „დინამოს" დღევანდელი მეტოქე. პოლონელების პრეზიდენტი ტადეუშ ჩერვინსკი კი „სარბიელის" ძველი ნაცნობია და ბედნიერია, რომ თბილისში ჩამოსვლა მეორედ შეძლო. პირველად ის „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩისას ახლდა თავის გუნდს, ახლა კი... ბატონი ჩერვინსკი პოლონეთის ელჩი იყო საბჭოთა კავშირში, მეუღლეს ხშირად საქართველოში ტურისტული საგზურით ასაჩუქრებდა, თუმც თავად ჩვენთან ჩამოსვლა „ვიტ ჯორჯიასთან" „ვისლას" სტუმრობამდე ვერ მოეხერხებინა.

ახლა ტადეუშ ჩერვინსკი მეორედაა საქართველოში. თუმც მას გუშინ, როცა „ეროვნულზე" შევხვდით, უკვე სხვა განწყობა, სხვა ღიმილი ჰქონდა, ვიდრე „ვიტ ჯორჯიასთან" „ვისლას" პირველი მატჩის წინ...

— „დინამოსთან" მატჩამდე ხუთი წუთით ადრე გუნდის გასახდელში საგანგებოდ შევედი და მოედანზე გასასვლელად ჩამწკრივებულ ბიჭებს ვუთხარი, მე თქვენზე უფროსი ვარ, მახსოვს დიდი ქართველი ფეხბურთელები, რომლებიც „დინამოში" თამაშობდნენ და მსოფლიოში ცნობილნი არიან. „დინამო" სხვა გუნდია, საქართველოსთვის საფიცარი, ქართველებთან მთელი ენერგიით ითამაშეთ-მეთქი. ხომ იცით, ფსიქოლოგია რთული რამაა, ერთი კაცი თერთმეტის განწყობაზე ვერ იმოქმედებს.

**— ფიქრობთ, რომ „ვისლას" „დინამო" „ვიტ ჯორჯია" ეგონა და კრაკოვში თქვენები ზედმეტად თავდაჯერებულები იყვნენ?**

— ფსიქოლოგიური მომენტი ვახსენე და გეტყვით, „ვისლას" ფეხბურთელებს „დინამო" „ვიტ ჯორჯიაზე" უკეთესი გუნდი კი ეგონათ, მაგრამ ვერ წარმოედგინათ, ქვეყნის ჩემპიონზე ამდენად ძლიერი თუ იქნებოდა. მეც გულწრფელად ვამბობ, „დინამოს" რომ ვეთამაშებოდით, ვიცოდი, მაგრამ ქართველებს თუ ასეთი გუნდიც გყავდათ, არ მეგონა.



ჰენრიკ კასპერჩაკი

**— მერე და, ხვალინდელი მატჩისგან რას ელით?**

— ძალიან ლამაზ და კარგ ფეხბურთს ამ შესანიშნავ სტადიონზე.

**— სტადიონს რატომ აღნიშნავთ...**

— უკვე მითხრეს, რომ რაც კი ინდივიდუალური სკამებია, ბოლომდე შეივსება, ეს კი საქომაგოდ საკმარისია. წარმომიდგენია, მთელი ტრიბუნა რომ შეივსოს...

**— კარგ თამაშს „ვისლასგან" ელით თუ...**

— მე კარგი თამაში ვთქვი, კარგი თამაში კი კარგი თამაშია, თუ კარგად მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობს, ეს ფეხბურთი არაა.

**— „ვისლას" ფრეც რომ აწყობს?**

— თუ გუნდი ფრისთვის თამაშობს, ის გუნდი ყოველთვის წაგებულია. ამიტომ გეუბნებით, „ვისლა" ხვალ მოსაგებად ითამაშებს.

„ვისლას" გუშინდელი პრეზიდენტი იმ „ვისლას" პრეზიდენტი არ იყო, რომელსაც „ვიტ ჯორჯიასთან" თბილისური მატჩის წინ ვესაუბრე... და აღარც „ვისლაა" ის, რომელმაც ორი თვის წინ საქართველოს ჩემპიონს თბილისში არნახული სირცხვილი აჭამა.

— შეიძლება, ერთი წუთით...

— არა. ბოდიში, მაგრამ კუნთი მტკივა...

„ვისლას" არგენტინელ ნახევარმცველ მაურო კანტოროსთან სასაუბროდ კალამი და ბლოკნოტი მომარჯვებული მქონდა, მან კი მცირე ინტერვიუზე უარი მითხრა. გჯერათ, რომ მიზეზი ფეხის ტკივილი იყო?

— ერთი წუთით...

— ვერაფერს გეტყვით, მეჩქარება.

„ვისლას" მარცხენა მცველს ნიკოლა მიალოვიჩს სხვა მიზეზი ჰქონდა ქართულ პრესასთან საუბრისთვის თავის ასარიდებლად. ეს მიალოვიჩი „დინამოსთან" პირველი მატჩის შემდეგ წითლად შეღებილი თმითა და კახა ალადაშვილთან უხეშობით გემახსოვრებათ. ამჯერად მიალოვიჩს თმა ცისფერი აქვს და როცა „ვისლას" მესვეურთ ვკითხე, ამ ფეხბურთელს რამე ცრურწმენა ხომ არ აქვს-მეთქი, გვითხრეს, არა, უბრალოდ, 20 წლის თავქარიანი ბიჭია და როცა როგორ გაუხარდება, თმასაც მაშინ იღებავსო. პოლონელებმა ისიც დაამატეს, რომ მიალოვიჩის თმის ფერი, ყოველთვის საკლუბო ფერია, ან ყვითელი, ან წითელი, ანაც ცისფერი.

მოკლედ, პოლონელ ფეხბურთელებს თბილისში ორი თვის წინანდელი სტუმრობისგან განსხვავებით პრესასთან ურთიერთობის სურვილი მაინცდამაინც არ ჰქონიათ. ტადეუშ ჩერვინსკიმ ესეც თავისებურად ახსნა, მნიშვნელოვანი მატჩის წინ „ვისლას" პროფესიონალ ფეხბურთელებს პრესასთან ლაპარაკი არ სჩვევიათო.

თუმც „ვისლას" შემტევები და ლიდერები, მაცეი ჟურავსკი და ტომაშ ფრანკოვსკი სხვანაირი პროფესიონალები ყოფილან.

მაცეი ჟურავსკი: ურთულესი მატჩისთვის ვემზადები. კრაკოვის მატჩის შემდეგაც ვთქვი, „დინამო" ასე ძლიერი გუნდი არ მეგონა. ვფიქრობ, ხვალ ერთი გოლი გადაწყვეტს მატჩის ბედს.

**— და ვინ გაიტანს იმ ერთადერთ გოლს?**

— მსურს, ეს ჩემი პასით ფრანკოვსკიმ გააკეთოს.

**— ესე იგი, უეფას ჯგუფურ ეტაპზე „ვისლა" ითამაშებს...**

— ძალიან გამიხარდება, ასე თუ იქნება.

ტომაშ ფრანკოვსკი: კოჭი ცოტას ისევ მაწუხებს, მაგრამ თამაშს შევძლებ. მწვრთნელი როგორც იტყვის...

**— და თუ ითამაშებთ?**

— ამ სტადიონზე ოთხი გოლი გავიტანე და „დინამოსთანაც" თუ იგივეს შევძლებ, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება.

**— უეფას ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— ვერაფერს გეტყვით.

**— ოთხი გოლი გავიტანე ამ სტადიონზეო, თქვით. როგორ ფიქრობთ, „ვიტ ჯორჯია" და „დინამო" ერთმანეთისგან რით განსხვავდებიან?**

— პირველ ყოვლისა, თამაშის ორგანიზაციით. ქართველი ფეხბურთელების ტექნიკურობაზე მწვრთნელი ბევრს გველაპარაკებოდა, მაგრამ, მაინც, როგორ გითხრათ... „დინამოს" ეტყობა, რომ უფრო კარგი გუნდია.

— ჟურავსკიმ თქვა, ჩემი პასით ფრანკოვსკიმ უნდა გაიტანოსო...

— სწორად უთქვამს — უნდა გავიტანო.

„ვისლას" ვარჯიშს ბევრი ხალხი დაესწრო, იყვნენ ჟურნალისტები, იყვნენ დინამოელები — მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი და მწვრთნელი გია გეგუჩაძე. და იყვნენ ისინიც, სტუმრის მაისურაზე ხელჩამოკიდებულნი საქართველოს მათხოვართან რომ აიგივებენ. „დინამოს" ყოჩაღ, „ვისლას" მათხოვრები არ მიკარებიან, თუმც ჟურავსკის და მის თანაგუნდელებს ავტოგრაფი ბევრმა სთხოვა.

და მთავარი. „ვისლას" ვარჯიშამდე პრესკონფერენცია გამართა ჰენრიკ კასპერჩაკმა. ცოტა არ იყოს, „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩის წინ მოლაპარაკე კასპერჩაკიც გუშინ სხვანაირად თავშეკავებული გვეჩვენა. თუმც პირველი სიტყვები ყველა სტუმარივით ჩვეულ-თავაზიანად თქვა...

— მიხარია, რომ საქართველოში ჩამოვედი და ქართველებთან ურთიერთობის საშუალება მაქვს. მსიამოვნებს თქვენთან შეხვედრა და მზად ვარ თქვენს კითხვებზე საპასუხოდ. გისმენთ.

**— იმისთვისაც ხომ არ ხართ მზად, რომ თქვენი გუნდი ხვალ წააგებს?**

— „ვისლა" ყოველთვის მოსაგებად თამაშობს და იმედი მაქვს, თბილისიდანაც მოგებულები წავალთ. ჩვენი განწყობა ყოველთვის ერთნაირია — „ვისლამ" უნდა მოიგოს! ფეხბურთელებიც შესაბამისად არიან მომზადებულნი.

**— უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხვედით?**

— „ვისლას" „დინამოსთან" საპასუხო შეხვედრამდე სამი მატჩი ჰქონდა. გამოდის, რომ ყოველ ოთხ დღეში ერთხელ ვთამაშობთ. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ფეხბურთელებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ, თუმც თბილისში მაინც უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვედით.

**— „დინამოსგან" როგორ თამაშს ელით?**

— ვფიქრობ, „დინამო" კრაკოვის მატჩის შემდეგ კარგად შევისწავლეთ. მასპინძლები ტექნიკურები არიან და არც სათამაშო დისციპლინა დაეწუნებათ. თბილისელებმა ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. ვიცი, რომ „დინამო" ჩემპიონატს წაუგებლად ლიდერობს. და კიდევ, მთავარი — დავრწმუნდი, რომ „დინამოს" გოლის გატანა შეუძლია.

**— კრაკოვში „ვისლამ" „დინამოსთან" ზედმეტად თავდაჯერებულმა ხომ არ ითამაშა?**

— ვფიქრობ, რაღაც გაუგებრობა იყო. „ვისლა" პროფესიონალების გუნდია და კ[illegible]. ყველა ფეხბურთელმა თავისი შე[illegible] ბოლომდე გა[illegible] თუმც [illegible] ზოგს უფრო მეტი ჰქონდა. „დინამოს" „ვისლა" კრაკოვული მატჩის წინაც აფასებდა და, მით უმეტეს, ახლა ვაფასებთ.

**— დღევანდელი „დინამოს" ფეხბურთელებზე კრაკოვის მატჩამდე რა იცოდით?**

— აბსოლუტურად არაფერი. სამაგიეროდ, ახლა ვიცი.

**— კანტორო ხვალ ითამაშებს?**

— თამაშის შანსი თბილისში ჩამოსულ ყველა ფეხბურთელს აქვს.

ბოლოს კი, გუშინდელი უნებლიე შეცდომა გვაპატიეთ. დღევანდელ მატჩზე უეფას დელეგატი ჩვენი მეზობელი, სომეხი გევორქ ოვანესიანი იქნება. ეს გევორქ ოვანესიანი კი „დინამო" — ბატეს სამი წლის წინანდელ მატჩზე იყო უეფასგან გამოგზავნილი. გაიხსენეთ, ის თამაში „დინამომ" 2:1 მოიგო.

ხვალაც ასე იყოს...

**კოკა ინასარიძე**



მუდამ თუთიყუშივით ფერადი ნიკოლა მიალოვიჩი



მაცეი ჟურავსკი

# კომიტეტი გაფრთხილებით: გინებაზე სასჯელი დაგინებულია

## აღმოსავლური ორთაბრძოლა აღმოსავლეთში



**სპორტსმენმა კი უნდა ითმინოს, მაგრამ ოთარ მარცვალაძის დისკვალიფიკაცია ავყიათა კისერზეა**

გუშინ პროფლიგაში სადისციპლინო კომიტეტის სხდომა ჩატარდა. დარღვევები და დასასჯელები ბლომად კი იყვნენ, მაგრამ ისეთიც არაფერი იყო, განსაკუთრებული ხმაური მოჰყოლოდა.

მთავარი თემა უმაღლესი ლიგის ბოლო, მერვე ტურში გაძევებული სამი ფეხბურთელის ბედი იყო. საინტერესო ისაა, რომ სამივეს უშვერი სიტყვების სროლისთვის დაატოვებინეს მსაჯებმა მოედანი.

„დინამო“ — „დილას“ მატჩში გორელმა ლუკა რაზმაძემ მსაჯს შეაგინა და მყის წითელი ბარათი აუფრიალეს. დისციპლინარებმა რაზმაძის საქციელი ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით და 300-ლარიანი ჯარიმით შეაფასეს.

ასეთივე სასჯელი ერგო თბილისელ დავით ოდიკაძეს. „ლოკომოტივ“ — „თბილისის“ შეხვედრაში ოდიკაძესაც უმტყუნა ნერვებმა და ფეხბურთის თამაშის ნაცვლად ბილწსიტყვაობა დაიწყო. მოკლედ, ისიც ორი თამაშით ვერ შეეშველება „თბილისს“ და თან 300 ლარითაც შეითხელებს ჯიბეს.

არასასიამოვნო ამბავი შეემთხვა ვიტჯორჯიელ ოთარ მარცვალაძეს. ქუთაისში „ტორპედოსთან“ თამაშისას ოთარს მაყურებლებმა აგინეს. ახალგაზრდა ფეხბურთელმა, რომელსაც დედა რამდენიმე დღის წინ გარდაეცვალა, ვეღარ მოითმინა, ტრიბუნებს გინებითვე უპასუხა და მსაჯმაც მოედნიდან გააძევა. როგორც ითქვა, ოთარს მატჩის შემდეგაც გაუწევია ქუთაისელი ვაიქომაგებისკენ, თუმც ეს საქმე მალევე ჩაფარცხულა. ერთი სიტყვით, მარცვალაძეც რაზმაძე-ოდიკაძის დარად დაისაჯა.

უმაღლესლიგელთაგან სხდომაზე ზესტაფონელი გიორგი ცინაძის საკითხიც გაიტანეს. იმერელთა მეკარე გორის „დილასთან“ მატჩში ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევეს. სასჯელი კი ასეთია — ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 50 ლარი.

აი, „ბათუმი“ და „ვიტ ჯორჯია“ კი გაფრთხილებას დააჯერეს. ამ გუნდების მაისურებზე პროფლიგის ლოგო არ ყოფილა გამოსახული. პირველი შემთხვევა იყო და განმეორებითი დარღვევისთვის ჯარიმა არ ასცდებათო, თქვეს დისციპლინარებმა.

თითო თამაში და 50-50 ლარი — ასეთი სასჯელი სამ ქვედალიგელს გამოუწერეს — საგარეჯოელ გოჩა ლომიძეს, მერანელ დიმიტრი შანავას და რუსთაველ გობეჯიშვილს.

ამერელ სულიკო დავითაშვილს თბილისის „ლოკომოტივი 2“-თან წითელი ბარათი ორმატჩიან დისკვალიფიკაციად და 300-ლარიან ჯარიმად დაუჯდა.

„ჩიხურა“ — „მერანის“ მატჩისას საჩხერელთა მწვრთნელმა ოლეგ ჭილლაძემ კი ტექნიკური ზონა დატოვა და მსაჯს აგინა, რისთვისაც ორი თამაშის გამოტოვებით და 300-ლარიანი ჯარიმით დაისაჯა.

ბოლოს, ტაეკვანდოც. პირველ ლიგაშივე „კახეთ“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩისას სტუმარ-მასპინძელი შეიბნენ: დავით ბურდულმა და ლაშა ჯაფარიძემ ერთმანეთს შუა მოედანზე გაურჩიეს საქმე და ხელფეხჩართული ბრძოლაც გააჩაღეს. „კარატისტები“ 5-5 თამაშით და 250-250 ლარით დააჯარიმეს.

**ჭაჭა ზალამბერიძე**

# აშვეთიას ფეხი და სეზონი გაუტეხეს



**ნაოპერაციები** მიხეილ აშვეთია თავს კარგად გრძნობს. შეგახსენებთ, რომ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი თავდამსხმელი ერთი კვირის წინ ვოლგოგრადის „როტორთან“ მატჩში მძიმედ დაშავდა — ფეხის მეხუთე პოლუსური ძვალი გაუტყდა და საოპერაციო შეიქნა.

აშვეთიას 23 სექტემბერს მოსკოვის ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში გაუკეთეს ოპერაცია და ქირურგების თქმით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მიხოს ფეხი თაბაშირში ჩაუსვეს და უკვე გაწერეს საავადმყოფოდან, თუმც, ბუნებრივია, სიარული ჯერ არ შეუძლია.

აშვეთიას 7-8 კვირიანი სარეაბილიტაციო პერიოდი დაუნიშნეს და სავარაუდოდ დეკემბრის ბოლოს შეძლებს ძუნძულის დაწყებას.

**დავით თევზაძე**

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესი გუშინ თბილისში ჩამოფრინდა. დღეს ხომ „დინამო“ — „ვისლაა“ და ჟირესს „დინამოდან“ ნაკრების რამდენიმე კანდიდატი ჰყავს — ლაშა სალუქვაძე, ჯაბა კანკავა, დავით ჭიჭვეიშვილი, დავით კვირკველია. დღეს, ალბათ, ლადო ახალაიაც ითამაშებს...

13 ოქტომბერს ლვოვში უკრაინასთან სათამაშო შემადგენლობა ჟირესს, ალბათ, მოფიქრებული აქვს, მაგრამ მწვრთნელი დღევანდელ მატჩს მაინც ელის.

ასე რომ, დინამოელებს დღეს დამატებითი სტიმული აქვთ, მატჩს ნაკრების მწვრთნელი დაესწრება და თავგამოჩენილ დინამოელებს სანაკრებო შანსი ეზრდებათ.

**ჭოზა ინასარიძე**

## თქვენ გიყურებთ ჟირესი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟინს მამაჩემის ნატვრაც მმატებს

თითქმის ორი თვეა, რაც რატი ალექსიძეს რუსული პრემიერლიგის „როსტოვში“ არ უთამაშია, ბოლო ტურში კი — „როტორთან“ შეცვლაზე ბოლო თერთმეტი წუთი ითამაშა. ალექსიძე 26 წლისაა და ჯერაც უნდა შეეძლოს თავის გამოჩენა რუსულ ჩემპიონატში. რატის ჯერ ორთვიანი პაუზის მიზეზზე დავეკითხეთ...



— თითქმის ორი თვე რომ არ მითამაშია, ამაში მიკროტრავმამაც შემიშალა ხელი, მაგრამ მთავარი ეს არ იყო... „როტორთან“ მატჩის შემდეგ ჩვენმა მთავარმა მწვრთნელმა სერგეი ბალახნინმა მითხრა, მომდევნო ტურში „მოსკოვს“ ვეთამაშებით და მზად უნდა იყოო. მოკლედ, ნელ-ნელა ვიწყებ ფორმაში შესვლას.

— როგორ ფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადადგი, როცა თბილისის „დინამოდან“ „როსტოვში“ გადახვედი?

— „როსტოვში“ რომ წამოვედი, კარგი ვქენი, მაგრამ უთამაშებლობა ჩემი ბრალიცაა — ჯერ ბებია გარდამეცვალა, მერე მამა და ამან ფსიქოლოგიურად ძალიან ამრია. მამაჩემს ძალიან უნდოდა, ფეხბურთი მეთამაშა და ახლა ამის ჟინითაც ვცდილობ, ფორმაში შევიდე და მერე „როსტოვზე“ კარგ გუნდში გადავიდე.

— ხმებმა იმის შესახებ, რომ ივო შუშაკი „როსტოვის“ მწვრთნელობას აპირებს, ალბათ შენამდეც მოაღწია — თუ შუშაკი მივიდა „როსტოვში“, მაინც წამოხვალ იქიდან?

— თუ შუშაკი მოვა „როსტოვში“, ალბათ აქ დავრჩები. შუშაკის „როსტოვში“ შესაძლო მოსვლაზე საქართველოდან გავიგე, როსტოვში კი ამას შესახებ არაფერი მსმენია.

— უეფას თასზე „დინამოს“ ასეთ თამაშს თუ ელოდი?

— „დინამოს“ ბოლოდროინდელი წარმატებები ძალიან გამიხარდა. „დინამო“ ბავშვობიდან პირველი გუნდია ჩემთვის. დარწმუნებული ვარ, რომ „დინამო“ „ვისლასთანაც“ წარმატებით ითამაშებს.

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ერთხელაც გამწვავდა და ამის ფონზე როსტოვში თავს როგორ გრძნობ?

— არანაირ დაძაბულობას არ ვგრძნობ, ჩვენი გუნდის ფეხბურთელები ძალიან კარგი ბიჭები არიან. „როსტოვი“ მრავალეროვანი გუნდია, აქ აფრიკელებიც კი თამაშობენ.

**დავით თავართქილაძე**

### რამდენი ზაფხული, რამდენი ზამთარი...

# სიომინმა შვილი და შვილობილი ნახა

**რამდენიმეწლიანი** პაუზის შემდეგ იური სიომინი ზაზა ჯანაშიას შეხვდა. ეს ამბავი გუშინწინ, ქალაქ ორიოლში მოხდა, სადაც „ორიოლს“ კალინინგრადის „ბალტიკა“ სტუმრობდა.

გეცოდინებათ, „ბალტიკას“ იური პავლოვიჩის ვაჟი, ანდრეი წვრთნის, გუნდში კი მოსკოვის „ლოკომოტივის“ ყოფილი ფეხბურთელები, ზაზა ჯანაშია და რომან ახალკაცი თამაშობენ. უფროს სიომინსაც შვილის ქომაგობის გარდა ჩვენებურებზე თვალის შევლებაც მოუნდომებია და...

„ბალტიკამ“ 1:0 მოუგო „ორიოლს“ და ამ მოგებაში ჯანაშიას ფეხიც ერია — 66-ე წუთზე ზაზა და ევსინი მეკარესთან პირისპირ გავიდნენ. რუსი ჟურნალისტების თქმით, სანახაობაც აქ დაწყებულა — ბალტიკელებმა კარგა ხანი აწვალეს საცოდავი მეკარე, ბოლოს კი ევსინმა დარტყმა გადაწყვიტა და მატჩის ერთადერთი გოლიც გაიტანა.

ჯანაშია 89-ე წუთზე შეცვალეს და საგოლე კომბინაციაში მონაწილეობის გარდა წამდაუწუმ იდაყვების ქნევით და მეტოქეების დაშინებით „გამოუჩენია“ თავი; ახალკაცმა კი სრულად ითამაშა.

შეგახსენებთ, რომ ზაზასგან განსხვავებით რომანი დღემდე „ლოკომოტივის“ საკუთრებაა და „ბალტიკაში“ განათხოვრებით თამაშობს.

**ჭაჭა ზალამბერიძე**


საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული

კლუბი „დინამო“

**წესდების ახალი რედაქციის დამტკიცებასთან და ცვლილებებთან დაკავშირებით აცხადებს წევრთა ხელახალ რეგისტრაციას.**

„დინამოს“ წევრები ვალდებულნი არიან (სურვილისამებრ) გაიარონ ხალახალი რეგისტრაცია კლუბის ოფისში, მისამართი: ა. წერეთლის გამზ. №2, 2004 წლის 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე.

წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გათავისუფლებული იქნებიან ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ წევრობიდან.

*ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ დირექცია*




# მეტალურგი უჯამარაულოდ გამოვარდება

**დღეს** დონეცკის „მეტალურგი“ უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში რომის „ლაციოს“ ეთამაშება. პირველი თამაში უკრაინელებისთვის უიღბლო გამოდგა — „ლაციომ“ დონეცკში 3:0 მოიგო და ფაქტობრივად გაინაღდა ჯგუფურ ეტაპზე თამაში. ჩვენთვის კი დღევანდელი შეხვედრა იმით გახდა მნიშვნელოვანი, რომ რომში გოჩა ჯამარაული ვერ ჩავიდა — „მეტალურგის“ ქართველი კაპიტანი და ნაკრების წევრი ვარჯიშზე დაშავდა.

ექიმები ჯერჯერობით ვერ ამბობენ, როდის განაახლებს ჯამარაული თამაშს, თუმც წინასწარი ვარაუდით, ტრავმა სერიოზული არაა.

**ჭაჭა ზალამბერიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. II ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

## დეპორტივოს 2:0 აგემარეს



ხავიერ სავიოლამ ხოსე მოლინას შანსი არ დაუტოვა

**მონაკო 2:0 დეპორტივო**

1:0 კალონი (5), 2:0 სავიოლა (10)
მონაკო: რომა, გივე, ჟ. როდრიგესი, სკილაჩი, ევრა (მოდესტო 85), მაიკონი, ზიკოსი (დ. პერესი 58), ფარნერუდი, კალონი, სავიოლა, ადებაიორი (ჩევანტონი 78)
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, პაბლო ამო, კაპდევილა, დუშერი, სერხიო (სკალონი 46), ფრანი (მუნიტისი 63), ვიქტორი, ვალერონი, პანდიანი (ლუკე 56)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ჟორჟე ანდრადე, სერხიო, ევრა
მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)
15 000 მაყურებელი

ფრანგული „მონაკო“ „დეპორტივოსთვის“ კვლავაც გადაულახავ ბარიერად რჩება. მართალია, დიდიე დეშანის შეგირდებმა ლაკორუნიელები შარშანდელივით ვერ გაანადგურეს (8:3), მაგრამ ირურეტას არმადა, მიუხედავად მატჩისწინა სარევანშო განწყობისა, შინ მაინც დამარცხებული გაბრუნდა — კალონისა და სავიოლას გოლებმა სტუმრებს სიტუაციის გამოსწორების არავითარი შანსი აღარ დაუტოვა. „მონაკომ“ მშობლიურ სარბიელზე 2004-05 წლების ჩემპიონთა ლიგის პირველი სამი ქულა მიითვალა, ესპანელები კი წინა ტურში „ოლიმპიაკოსთან“ მოპოვებული ერთი ქულის ამარა დარჩნენ, რაც ჯერჯერობით A ჯგუფში მათ აუტსაიდერობას ნიშნავს...

თამაში მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. ადებაიორმა მოლინას მძლავრად დაარტყა, თუმც „დეპორის“ უკანახაზელებმა მეტოქის იერიში გაჭირვებით უკუაგდეს. „მონაკოს“ უპირატესობა მალე პირველ გოლში გადაიზარდა — მაიკონმა ადებაიორს გადააწოდა, მან ჩინებული პასით კალონი მოამარაგა, რომელმაც ბურთს, „ლუი მეორეზე“ შეკრებილი 20 ათასი ქომაგის სასიხარულოდ, ხოსე მოლინას კარში მიუჩინა ადგილი. მცირე ხნის შემდეგ შესანიშნავად მობურთავე ადებაიორი საგოლე პასს არგენტინელ სავიოლას უძღვნის და „ბარსას“ ყოფილი „ბაჭიაც“ ტაბლოზე უკვე სახიფათო ორიანს აფიქსირებს — 2:0 მე-10 წუთზე. ამის შემდეგ გალისიელები გამოფხიზლდნენ — სტუმრებიდან ანგარიშის გათანაბრების ყველაზე კარგი შანსი ვიქტორს ჰქონდა, რომელმაც სებასტიან სკილაჩის შეცდომით ისარგებლა, „მონაკოს“ საჯარიმოში შეიჭრა, დაარტყა, მაგრამ მეკარე ფლავიო რომას ოსტატობასთან ვერაფერი გააწყო.

შეხვედრის მეორე ნახევარში ირურეტას შეგირდებმა, კერძოდ ფრანმა და პანდიანიმ, რომას მისადგომებს ისევ უშედეგოდ მიაკითხეს, დამხვდურთაგან კი კვლავაც კალონი და ადებაიორი აქტიურობდნენ. 74-ე წუთზე ამ უკანასკნელმა ბურთი „დეპორტივოს“ კარის ძელს უსახსოვრა. საბოლოოდ გალისიელების მოლინას სანაქებო გოლკიპერობის წყალობით სტუმრები განადგურებას გადაურჩნენ, თუმც მათი დამრიგებლისთვის მცირე ანგარიშით წაგება ვერაფერი სანუგეშო იყო.

„მონაკოსთან“ შეცდომებს მომავალ თამაშებში გამოვასწორებთ. სამწუხაროა, რომ წავაგეთ. გოლის შეგდება ჩვენც შეგვეძლო“ — აღნიშნა ხავიერ ირურეტამ ნამატჩევს.

**ოლიმპიაკოსი 1:0 ლივერპული**

1:0 სტოლტიდისი (17)
ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი (ვენეტიდისი 71), ანატოლაკისი, შურერი, პანტოსი, რივალდო, სტოლტიდისი, კაფესი, გეორგატოსი (ვალასი 85), ჯოვანი (გეორგიადისი 71), ოკასი
მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი
ლივერპული: დუდეკი, ხოსემი (ჯ. სისე 73), კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ფინანი, ხაბი ალონსო, ჰამანი, უორნოკი (კოული 46), ლუის გარსია, ბაროში
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ანატოლაკისი, პანტოსი, უორნოკი, მავროგენიდისი, პანტოსი, შურერი, ფინანი
გაძევება: პანტოსი (82)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
33 500 მაყურებელი

„ოლიმპიაკოსმა“ სტოლტიდისის გოლის წყალობით „ლივერპულს“ სძლია და სატურნირო ცხრილსაც მეთაურობს. პირველ ტაიმში სახიფათო ეპიზოდები ძირითადად მასპინძლებს ჰქონდათ — ჯოვანიმ და რივალდომ ალბიონელების დაცვას ბევრი პრობლემები შეუქმნეს. მასპინძელთა გოლშიც ლომის წილი რივალდომ დაიდო — მე-17 წუთზე ბრაზილიელის შესრულებულ საჯარიმოს სტოლტიდისმა საგოლე თავური დაამატა.

მეორე ტაიმში ლივერპულელთა ხაბი ალონსო ბენიტესის გუნდის საიერიშო კომბინაციების წამოწყებას ცდილობდა, თუმცა, „ოლიმპიაკოსი“ ბერძნები მაგრად დადგნენ და ინგლისელთა ყოველ შეცდომას სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდნენ. პრაქტიკულად, ალბიონელების ყველაზე სახიფათო ეპიზოდად რიისეს საჯარიმო დარტყმა უნდა ჩავთვალოთ. „ეს დიდი გამარჯვებაა. „ლივერპულს“ ღირსეულად ვაჯობეთ, რაც „ოლიმპიაკოსის“ სიძლიერეზე მიუთითებს“ — განაცხადა დუშან ბაევიჩმა საჩემპიონთალიგო 3 ქულის მონადირების შემდეგ.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ლივერპული | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| მონაკო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

**III ტური, 19 ოქტომბერი**

მონაკო — ოლიმპიაკოსი
ლივერპული — დეპორტივო

## B ჯგუფი

## რეალმა რომა მოატრიალა

**დინამო 4:2 ლევერკუზენი**

1:0 რინკონი (30), 1:1 ვორონინი (59), 1:2 ნოვოტნი (68), 2:2 რინკონი (69), 3:2, 4:2 ჩერნატი (73, 90)
დინამო: შოვკოვსკი, საბლიჩი, გიოანე (ო. გუსევი 55), ელ კადური, გავრანჩიჩი, როდოლფო, ლეკო (ჩერნატი 70), რინკონი, იუსუფი, კლებერი, ვერპაკოვსკისი (შაცკიხი 58)
მწვრთნელი: იოჟეფ საბო
ლევერკუზენი: ბუტი, შნაიდერი, ნოვოტნი, ჟუანი, პლასენტე (ბაბიჩი 79), რამელო, ფრაიერი (ჯონსი 75), პონტე, კრჟინოვეკი, ბერბატოვი, ფრანცა (ვორონინი 51)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ვერპაკოვსკისი, პონტე, პლასენტე, ვორონინი, ვორონინი
გაძევება: ვორონინი (83)
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)
83 000 მაყურებელი

ბოლო 16 წუთში ფლორინ ჩერნატმა ორი გოლი გაიტანა და კიევის „დინამო“ ჯგუფის უპირობო ლიდერად აქცია. იმ ჯგუფისა, რომელშიც „რეალი“ და „რომაც“ თამაშობენ.

პირველი ტაიმის მერე კიეველები დიოგო რინკონის გოლით იგებდნენ. მეორე ტაიმი დაიწყო და კლაუს აუგენტალერმა მასპინძლებს მეხუთე კოლონასავით შეუგზავნა ანდრეი ვორონინი. გერმანელთა უკრაინელმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი იენს ნოვოტნის გაატანინა.

ვითარების ამგვარად შეცვლას უკრაინელები, ცხადია, არ ელოდნენ, მაგრამ ძალა მაინც მოიკრიფეს და კიდევ სამი გოლით გაუმასპინძლდნენ სტუმრებს.

ორი სიტყვით სასტარტო შემადგენლობებზე ვთქვათ: იოჟეფ საბომ არ გარისკა ვალენტინ ბელკევიჩის გაყვანა, ვინაც ტრავმა ახლახან მოიშუშა, ოლეგ გუსევი კი ბრაზილიელმა როდოლფომ შეცვალა, რომელმაც „რომასთან“ ვერდამთავრებული მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. წინა მატჩთან შედარებით ერთი ცვლილება ჰქონდათ გერმანელებსაც — დაშავებულ როკე ჟუნიორს იენს ნოვოტნი ჩაენაცვლა.

პირველ ტაიმში გერმანელთა ფორვარდები ფრანცა და ბერბატოვი უსაქმოდ იყვნენ, უფრო სწორად კიეველი მცველები ისე ზუსტად მოქმედებდნენ, რომ საგოლე პოზიციაზე გასვლა ერთხელაც ვერ მოახერხეს. გერმანელებს ერთი ნაღდი მომენტი კი ჰქონდათ, მაგრამ ის ნახევარმცველმა პონტემ შექმნა, როცა ხარიხას გაარტყა.

იმ დროისთვის კიეველები უკვე იგებდნენ. რინკონმა ქარივით ჩაუქროლა ფრაიერს და ლამაზი, ჩახვეული დარტყმით გაუტანა ბუტს.

შესვენებისას აუგენტალერმა ვერაფრისგამკეთებელი ფრანცა ვორონინით შეცვალა და არც წააგო — შოვკოვსკიმ პონტეს დარტყმა მოიგერია, დასწრებაზე კი ვორონინმა ანგარიში გაათანაბრა. ათ წუთში ვორონინი კვლავ მოექცა ყურადღების ცენტრში — ნოვოტნიმ უკრაინელთან კედლის გათამაშების მერე „ლევერკუზენი“ დააწინაურა.

ბედის მუხთლობას კიეველები ღირსეულად შეხვდნენ. ლევერკუზენელები ჯერ კიდევ დაწინაურებას ზეიმობდნენ, როცა რინკონმა კარსტენ რამელოს და ჟუანის შეცდომებით ისარგებლა და უმახვილესი კუთხიდან დაარტყა. ბურთი ბუტს მოხვდა და ბადეში შევარდა.

„დინამომ“ ტემპი გაზარდა და კიდევ ერთხელ იხეირა. კლებერის უზუსტესმა პასმა საჯარიმოს სიახლოვეს ჩერნატი მოძებნა, რომელმაც ერთი ცრუ მოძრაობა გააკეთა და საგოლედ დაარტყა.

„ლევერკუზენი“ ამის მერეღა გამოცოცხლდა და მთელი ძალებით შეუტია — გადარჩენის სხვა გზა ხომ არც ჰქონდა. ეგებ რამეც გაეხერხებინათ, მაგრამ ვორონინმა ათწუთიან მონაკვეთში ორი გაფრთხილება მიიღო და 82-ე წუთისთვის კაცნაკლულად დარჩენილმა გერმანელებმა ფარ-ხმალი დაყარეს. წამატებულ დროში ჩერნატმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა და ამით ისტორია გამეორდა — ხუთი წლის წინ ამ გუნდების კიევური მატჩიც ამავე ანგარიშით დასრულდა.

**რეალი 4:2 რომა**

0:1 დე როსი (3), 0:2 კასანო (22), 1:2 რაული (39), 2:2 ფიგუ (53პ), 3:2 რაული (72), 4:2 რობერტო კარლოსი (79)
რეალი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, სელადესი (გუტი 64), ზიდანი, რაული (პავონი 82), რონალდო (რაულ ბრავო 85)
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
რომა: პელიცოლი, პანუჩი, დელასი, კუფრე, კანდელა (სარტორი 61), მანსინი, პეროტა, დაკური, დე როსი (მიდო 76), ტოტი, კასანო
მწვრთნელი: ეზიო სელა
გაფრთხილება: სელადესი, ელგერა, პანუჩი, სამუელი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
55 000 მაყურებელი


რომაელებმა რუს არბიტრ ვალენტინ ივანოვს პენალტისთვის ხელები უქნიეს

რომაელთა ორ გოლს მადრიდელებმა ოთხით უპასუხეს და საარაკო გამარჯვებაც მოიპოვეს. ასეთ გამარჯვებას დამარცხებულის შერცხვენა ჰქვია, რაკი ერთი გუნდი ორი ბურთით რომ იგებს და წააგებს, სირცხვილი უნდა იყოს.

არადა, „რომა“ მატჩის დაწყებისთანავე დაწინაურდა. ტრაიანოს დელასმა მასპინძლები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნის უხეირო მცდელობით ისარგებლა და გამოზომილი პასი მისცა დანიელე დე როსის, ვინაც ძალდატანების გარეშე გახსნა ანგარიში.

მასპინძლებმა მაშინვე მოინდომეს პასუხის გაცემა, მაგრამ რაულის ჩახვეული დარტყმა სულ ოდნავ ასცდა კარს. კიდევ ცოტაც და, უკვე ივან ელგერამ გაისროლა კარგად, მაგრამ სეხნია პელიცოლიმ ზედმიწევნით საიმედოდ ითამაშა.

რაც დრო გადიოდა, მადრიდელთა დაცვაში სულ უფრო და უფრო შეინიშნებოდა აფორიაქება, რასაც უთუოდ სასჯელი უნდა მოჰყოლოდა. 21-ე წუთზე ფრანჩესკო ტოტიმ ბურთი სიმონე პეროტას გაუგზავნა, ამან თავის მხრივ ანტონიო კასანო მოძებნა, ვინაც რომაელები ორი ბურთით დააწინაურა. მალე სტუმრებმა კინაღამ მესამეც გაიტანეს, მაგრამ კასილიასმა ბურთი წვალებით მოიგერია კუთხურზე ტოტის საჯარიმო დარტყმის მერე.

მადრიდელები იქამდეც მეტხანს ფლობდნენ ბურთს, მაგრამ შეტევის დასრულება ძველებურად არ უვარგოდათ. მეტწილად რობერტო კარლოსი ურტყამდა შორიდან და არაფერი გამოსდიოდა. თუმცა ტაიმის მიწურულს „რეალმა“ სხვაობა მაინც შეამცირა. რაულმა ზიდანისგან, ვინაც მხარშეხვეულმა ითამაშა, პასი მიიღო და უმალ დაარტყა — ბურთი კარში დელასზე რიკოშეტით შეფრინდა.

ამ გოლის გამო თუ შესვენებისას მწვრთნელის დამოძღვრის შემდეგ, მეორე ტაიმი „რეალმა“ ბევრად აქტიურად დაიწყო და შედეგმაც არ დაახანა. მსაჯმა დელასისგან და პანუჩისგან რაულის დაჩაგვრა შენიშნა და პენალტი დადო, ფიგუმ კი აუღებელი დაარტყა.

ფრთაშესხმულმა „რეალმა“ ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერა და კიდევ ერთხელ დაჯილდოვდა — ფიგუს ჩაწოდებულს რაული გამოეხმაურა და „რეალი“ წინ გავიდა.

მასპინძლებმა მეოთხეც გაიტანეს — რობერტო კარლოსმა ჩვეული ყუმბარა-დარტყმით გაიტანა.

ცხადია, რომ ნამატჩევს ესპანელთა მწვრთნელი მარიანო რემონი დიდ გულზე იყო: „ჩვენმა ბიჭებმა თავი დადეს, მაგრამ მარტო ესეც არ არის, დიდებულად ვითამაშეთ, სხვანაირად როგორ გინდა მოუგო გუნდს, რომელმაც ორი გოლი გაგიტანა და მთელი გუნდით დაცვაში გამაგრდა.“

ეზიო სელამ კი დაიწუწუნა: „პირველ ტაიმში ორბურთიანი უპირატესობა რომ შეგვენარჩუნებინა, შესვენების მერე სულ სხვა თამაში წავიდოდა. თან ის პენალტიც, რომელმაც წელში გაგვტეხა...“

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| რეალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| რომა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

**III ტური, 19 ოქტომბერი**

რეალი — დინამო
ლევერკუზენი — რომა

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. II ტური

## C ჯგუფი




როი მაკაიმ ისეთი გოლები გაიტანა, პენალტის შეგდება გაუჭირდებოდა?!

# ვისთვის ამზოზდა კუმანი?

**ბაიერნი 4:0 აიაქსი**

**1:0, 2:0, 3:0 მაკაი (28, 44, 52პ), 4:0 ზე რობერტო (55)**
**ბაიერნი: კანი, ლუსიო, კუფური, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი (იერემისი 80), ფრინგსი (ჰაშემიანი 80), ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, პიზარო (დაისლერი 59)**
**მწვრთნელი: ფელიქს მაგათი**
**აიაქსი: ლობონტი, ნ. დე იონგი, გრიგერა, ჰეიტინგა (ესკუდე 63), მაქსველი, ობოდაი, სნეიდერი, გალაშეკი (მიტია 52), ვან დერ ვაარტი, სონკი, მ. როსალესი (დე რიდერი 70)**
**მწვრთნელი: რონალდ კუმანი**
**გაფრთხილება: სალიჰამიჯიჩი, ობოდაი, ბალაკი, სნეიდერი**
**მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)**
**50 000 მაყურებელი**

„დღევანდელი გამარჯვება გულიდან ლოდის მოხსნას ჰგავდა. ბოლო ხანს თავს დატეხილი კრიტიკის მიუხედავად გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა და ამის გამო უპირველეს ყოვლისა როი მაკაის უნდა ვუთხრათ მადლობა. „აიაქსი“ პირველ გოლამდე თანაბრად გვეთამაშებოდა, პირველმა გოლმა კი მოწინაალმდეგე გატეხა. ჩვენ, ცხადია, მაკაის გუნდი არ ვართ, მაგრამ როდესაც ასეთი ფეხბურთელი გყავს, მისთვის მომენტები უნდა შექმნა. პირველი გოლი მართლაც ისეთი გავიდა, რომ კონტექსტიდან და თამაშიდან მოწყვეტით, თვითონ ღირდა ერთ რამედ. ამდენი ხანია ფეხბურთში ვარ და ასეთი გოლი არასდროს მინახავს. „ბაიერნმა“ გვაჩვენა, რომ როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, ფერფლიდან შეუძლია აღდგომა“ — ეს სიტყვები „ოლიმპიაშტადიონზე“ გამარჯვების შემდეგ მიუნხენელთა მთავარმა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა თქვა.

„თავიდანვე გავმაგრდით და ბურთიც კარგად ვაკონტროლეთ, მაგრამ სახიფათო ვერაფერი შევქმენით. საუბედუროდ პირველი გოლის „ბაიერნმა“ გაგვიტანა. თამაშის წინ ბევრჯერ ვთქვი, რომ მაკაის წინ ერთი მცველი უნდა იყოს აღმართული-მეთქი, მაგრამ ყური არავინ დამიგდო. მაკაიმ კი საოცრად ითამაშა, პირველ ტაიმში ხომ ფანტასტიკური იყო და მეორე გოლმა უბრალოდ გაგვტეხა. ასეთი დონის შეჯიბრებებში უძლიერეს მეტოქეებთან შედეგს რომ მიაღწიო, სათამაშო ოსტატობის და მაქსიმალური ძალისხმევის კომბინაცია გჭირდება. მოკლედ, ვცდილობ რეალისტი ვიყო და ვაღიარო, რომ მხოლოდ კარგი ტექნიკა საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, „აიაქსში“ ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი სტერეოტიპი, რომ ჩვენი ოსტატობა გადამწყვეტია, რაც იქნებ ჰოლანდიის ჩემპიონატში მართლა ჭრის, მაგრამ საერთაშორისო თამაშებში არა. ახლა დღევანდელი დამარცხების შემდეგ ჯგუფში მესამე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რათა ევროშეჯიბრებას საერთოდ არ გამოვეთიშოთ. ჩვენი მიზანია „მაკაბის“ ორივე თამაში მოვუგოთ და თუ შევძელით, ტურინში ფრედ ვითამაშოთ. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთში შეუძლებელია არაფერია“ — ეს სიტყვები კი „აიაქსის“ გაწბილებულმა თავკაცმა რონალდ კუმანმა განაცხადა.

შეხვედრის უმთავრესი ფიგურა კი მართლაც ჰოლანდიელი როი მაკაი გახლდათ, რომელმაც თანამემამულეებს სულ სიმწრის ოფლი ადინა. პირველ ტაიმში ორი გოლის გატანის შემდეგ, მეორის დასაწყისში მაკაიმ ერთიც პენალტით შეაგდო და ზე რობერტოს მეოთხე ოქმისთვის, გატანილ-გაშვებულთა ბალანსისთვის და ამგვარებისთვის დატოვა. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნის“ მწვრთნელმა მაგათმა ამ შეხვედრაში შემადგენლობა შეცვალ-შემოცვალა — ტობიას რაუს ადგილი სამუელ კუფურს დაუთმო, ხოლო მარცხნივ ჰასან სალიჰამიჯიჩი გამოიყვანა. ამასთან, იენს იერემისის ნაცვლად „აიაქსის“ წინააღმდეგ ოუენ ჰარგრივსმა ითამაშა, ხოლო თავდასხმაში კლაუდიო პიზაროს მაკაის პარტნიორობა დაევალა.

**იუვენტუსი 1:0 მაკაბი**

**1:0 კამორანეზი (37)**
**იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ტუდორი, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ტაკინარდი, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი (ოლივერა 79), ტრეზეგე**
**მწვრთნელი: ფაბიო კაპელო**
**მაკაბი: შტრაუბერი, პანცილი, ჯოვანინი, სტროოლი, ნაგარი, რეისი, მიშაელოფი (მბამბა 76), ტ. კოენი, ბიტონი (ბუნფელდი 69), მესიკა, ი. ადო**
**მწვრთნელი: ნირ კლინგერი**
**გაფრთხილება: ნაგარი, ბიტონი, იბრაჰიმოვიჩი, ემერსონი, კამორანეზი**
**მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)**
**6 494 მაყურებელი**

„იუვენტუსის“ ახალი მწვრთნელი, ფაბიო კაპელო გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა, თუმცა ისიც დასძინა, რომ „მაკაბისთან“ ბიჭებმა ისე ვერ თუ არ ითამაშეს, ჩვეულებრივ რომ სჩვევიათ. შეხვედრის ერთადერთი გოლი, რაგინდ სასაცილო მოგეჩვენოთ, „ბებერი ქალბატონის“ ალბათ ყველაზე დაბალმა ფეხბურთელმა, მაურო კამორანეზიმ მხნე ნახტომით და ლონიერი თავურით გაიტანა.

„მაკაბის“ მწვრთნელი ნირ კლინგერი: „ნამდვილად კარგად ვითამაშეთ და ამიტომ შედეგმა ძალიან დაგვწყვიტა გული. დიახ, „იუვენტუსი“ დიდი გუნდია, თუმცა არც ჩვენ შევირცხვენია თავი, სამომავლოდ საკუთარი ძალების მეტი რწმენა გვმართებს. ყველაზე მეტად მინდა ჩვენი ნახევარდაცვა აღვნიშნო. მან ტურინელების ლონიერი შეტევების აწყობის საშუალება არ მისცა“.

პაველ ნედვედი, „იუვეს“ ფეხბურთელი: „წარამარა თუ გათამაშებენ, სულ ბრწყინვალე ფეხბურთს ვერ აჩვენებენ. ხანდახან მხოლოდ შედეგს უნდა მიაღწიო და ამით დაკმაყოფილდე. ჩვენი დიდი პლუსი ის გახლავთ, რომ დაცვამ ბოლო შვიდ თამაშში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. მოკლედ, ასე უნდა გავაგრძელოთ და ეს არის“.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი, „იუვეს“ თავდამსხმელი: „საკუთარი თამაში მომეწონა. მართალია, ჯერ საუკეთესო ფორმაში არ ვარ, მაგრამ რაც ტურინში გადმოვედი, ასე კარგადაც არ მითამაშია. საერთოდ კი დღეს ციდან ვარსკვლავები არ მოგვიწყვეტია. მთავარია, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ“.

ჯანლუიკა ძამბროტა, „იუვეს“ მცველი: „კარგი იყო, რომ „მაკაბისთან“ ძალიან არ გაგვჭირვებია. პირველ ტაიმში ერთადერთი შესაძლებლობა გამოვიყენეთ, მეორეში კი მართალია, უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ გოლი არ გაგვიტანია. კარგი იყო, რომ არც მეტოქეს მივეცით გოლის გატანის საშუალება“.

**პაპუნა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| მაკაბი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| აიაქსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

**III ტური, 19 ოქტომბერი**
იუვენტუსი — ბაიერნი
აიაქსი — მაკაბი

## D ჯგუფი

# მადლობა რუნისთვის

**მანჩესტერი 6:2 ფენერბაჰჩე**

**1:0 გიგზი (7), 2:0, 3:0 რუნი (17, 28), 3:1 ნობრე (46), 4:1 რუნი (54), 4:2 თუნჯაი (59), 5:2 ვან ნისტელროი (78), 6:2 ბელიონი (81)**
**მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინცე (ფ. ნევილი 81), ბელიონი, ჯემბა-ჯემბა, კლებერსონი, გიგზი (ფლეტჩერი 63), ვან ნისტელროი (მილერი 81), რუნი**
**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**
**ფენერბაჰჩე: რუშთუ, ფაბიო ლუსიანო, ფათიჰი (სერჰათი 61), დენიზი, უმით ოზატი, ალექსი, მარკო აურელიო, სერქანი, ნობრე, თუნჯაი, ვან ჰოიდონკი**
**მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი**
**გაფრთხილება: მარკო აურელიო, სერქანი, ჰაინცე**
**მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)**
**67 128 მაყურებელი**

„ფენერბაჰჩეს“ აშკარად არ გაუმართლა, რადგან უეინ რუნის მანჩესტერული დებიუტი თურქებთან მატჩში შედგა. 18 წლის ინგლისელმა ყველა დაჩრდლა. სამი ბრწყინვალე გოლი და ერთი საგოლე პასი — აი, ყმაწვილკაცის მონაგარი. მასპინძელთა პატარა ფანი ტრიბუნიდან კლუბის ბოსებს პლაკატით ემადლიერებოდა, რომელსაც ეწერა: „მადლობა, რუნისთვის“. 27 მილიონ გირვანქად შეძენილმა ფორვარდმა პირველივე შეხვედრაში თავისი ფასი გაამართლა. ნამატჩევს სტუმართა გერმანელმა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა თქვა: „უეინ რუნის დიდი მომავალი აქვს. ის შეიძლება 21-ე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდეს“. რუუდ ვან ნისტელროის მიაჩნია, რომ რუნიმ ასე თუ გააგრძელა, მალე მის რეკორდს გააუმჯობესებს. ჰოლანდიელმა ევროთასებზე „მანჩესტერის“ მაისურით 31 გოლი შეაგდო და თავის მხრივ დენის ლოუს (28) გადაასწრო. „მხოლოდ ევროთასებზე კი არა, ვფიქრობ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ისტორიაში საუკეთესო მეგოლეც გახდება. რუნიმ ფანტასტიკურად ითამაშა“ — განაცხადა ვან ნისტელროიმ.

უეინ რუნიმ „ფენერბაჰჩესთან“ ფრიადზე ითამაშა. პირველი გოლი მარცხენა ფეხით გაიტანა, მეორე — მარჯვენათი, მერე საჯარიმო დარტყმაც კოხტად შეასრულა და ბურთი რუშთუს მარჯვენა ძელთან ჩაუსვა, ბოლოს კი კარისკენ ზურგით მდგომმა დავით ბელიონს თავით საგოლე პასი უბოძა.

სერ ალექს ფერგიუსონი: „რუუდ ვან ნისტელროისა და უეინ რუნის შემტევი წყვილი შესანიშნავი იყო. რამდენიმე კვირაში ეს წყვილი უფრო შთამბეჭდავი გახდება, კიდევ ის გამიხარდა, რომ ახალგაზრდებმა საუცხოოდ წარმოაჩინეს თავი. კლებერსონმა და ერიკ ჯემბა-ჯემბამ პოლ სქოულზი და როი კინი სრულფასოვნად შეცვალეს. განსაკუთრებთ კლებერსონი მომეწონა, რომელმაც მოედნის შუაგულში თამაში დაალაგა“.




უეინ რუნი

რაიან გიგზმა ანგარიში სწორედ კლებერსონის პასით გახსნა, უელსელმა თავით რუშთუსგან მარცხნივ შეაგდო. მერე უეინ რუნის ჯერი დადგა. რუუდ ვან ნისტელროიმ ყმაწვილკაცი საჯარიმოს ხაზთან ბურთიანად დატოვა და ინგლისელმა ფორვარდმა ცაციით ცხრიანში შეჭედა. 27-ე წუთზე მსაჯმა „ფენერბაჰჩეს“ ლეგიონერ მარსიო ნობრეს გოლი გააუქმა, რადგან ნობრეს დარტყმამდე ბურთმა მოედანი დატოვა და მერე შებრუნდა საჯარიმოში. ამას მოჰყვა რუნის მეორე გოლი, ნობრემ კი მეორე ტაიმის დასაწყისში მაინც შეძლო ერთის გაქვითვა. რუნიმ და ვან ნისტელროიმ თურქებს თითო-თითო კიდევ გაუტანეს, ამ გოლებს შორის კი თუნჯაიმ იხეირა, როცა დასწრებაზე ითამაშა, ბოლოს კი დავიდ ბელიონმა რუშთუს ფეხებშუა გაუტარა ბურთი და თურქეთის ნაკრების მეკარეს გაუექვსა.

**სპარტა 1:2 ლიონი**

**1:0 იუნი (7), 1:1 ესიენი (25), 1:2 ვილტორდი (58)**
**სპარტა: ბლაჟეკი, პერგლი, ჰომოლა, რადოსლავ კოვაჩი, მ. ჩეხი (ვორიშეკი 46), პობორსკი, შივოკი, ზელენკა (ბარანეკი 82), ურბანეკი, იუნი, პაჩანდა (სტრიჰავკა 61)**
**მწვრთნელი: ფრანტიშეკ სტრაკა**
**ლიონი: კუპე, რეველიერი, კრისი, კასაპა, ბერტოდი, ესიენი, ჟუნინიო პერნამბუკანო (ლ. დიატა 83), ვილტორდი (ფრო 73), მალუდა, მ. დიარა, გოვუ (ნილმარი 86)**
**მწვრთნელი: პოლ ლე გუენი**
**გაფრთხილება: შივოკი**
**მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)**
**12 050 მაყურებელი**

პოლ ლე გუენის „ლიონმა“ პრაღაში „სპარტას“ სილვენ ვილტორდის კოხტა გოლით მოუგო. ვილტორდი მცველებსაც დაუსხლტა, მეკარესაც გასცდა და ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია. პრაღელები ტომაშ იუნმა პირველი ტაიმის დასაწყისში დააწინაურა, თუმც მიკაელ ესიენმა უძლიერესი დარტყმით შესვენებამდევე გაათანაბრა. ვილტორდის გოლის შემდეგ „სპარტა“ გააფთრებით უტევდა და ურბანეკმა კუპეს კარის ხარიხაც შეაზანზარა, მაგრამ ჩეხებს შეხვედრის ბოლოს დაღლა დაეტყოთ და ძალაგამოლეულებს „ლიონი“ იოლად გაუმკლავდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:4 | 4 |
| ლიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| სპარტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

**III ტური, 19 ოქტომბერი**
სპარტა — მანჩესტერი
ფენერბაჰჩე — ლიონი

## უეფას თასი 2004-2005. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები, დღეს

| | | |
|---|---|---|
| მეტალურგსი (ლატვია) | — | შალკე (გერმანია) (1:5) |
| გენჩლერბირლიგი (თურქეთის) | — | ეგალეო (საბერძნეთი) (0:1) |
| შტუტგარტი (გერმანია) | — | უიპეშტი (უნგრეთი) (3:1) |
| დნიპრო (უკრაინა) | — | მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) (0:1) |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) | — | მაკაბი (ფეთაჰ თიკვა, ისრაელი) |
| ცსკა (ბულგარეთი) | — | სტიაუა (რუმინეთი) (1:2) |
| შატორუ (საფრანგეთი) | — | ბრიუგე (ბელგია) (0:4) |
| ამიკა (პოლონეთი) | — | ვენტსპილსი (ლატვია) (1:1) |
| სიგმა (ჩეხეთი) | — | სარაგოსა (ესპანეთი) (0:1) |
| დინამო (რუმინეთი) | — | პარტიზანი (სერბეთი) (1:3) |
| ლიტექსი (ბულგარეთი) | — | გრაცერი (ავსტრია) (0:5) |
| სტაბეკი (ნორვეგია) | — | სოშო (საფრანგეთი) (0:4) |
| ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) | — | ზენიტი (რუსეთი) (0:4) |
| ბრაგა (პორტუგალია) | — | ჰართსი (შოტლანდია) (1:3) |
| ლილი (საფრანგეთი) | — | შელბურნი (ირლანდია) (2:2) |
| ბეშიქთაში (თურქეთი) | — | ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) (1:1) |
| ჰაპოელი (ბნეი საჰნინი, ისრაელი) | — | ნიუკასლი (ინგლისი) (0:2) |
| ალემანია (გერმანია) | — | ჰაფნარფიორდური (ისლანდია) (5:1) |
| ბევერენი (ბელგია) | — | ლევსკი (ბულგარეთი) (1:1) |
| ოსერი (საფრანგეთი) | — | ოლბორგი (დანია) (1:1) |
| ალკმაარი (ჰოლანდია) | — | პაოკ (საბერძნეთი) (3:2) |
| ელფსბორგი (შვედეთი) | — | დინამო (ხორვატია) (0:2) |
| ბაზელი (შვეიცარია) | — | ტერეკი (რუსეთი) (1:1) |
| იურგორდენი (შვედეთი) | — | უტრეხტი (ჰოლანდია) (0:4) |
| მარიბორი (სლოვენია) | — | პარმა (იტალია) (2:3) |
| ბოხუმი (გერმანია) | — | სტანდარდი (ბელგია) (0:0) |
| აეკ (საბერძნეთი) | — | ნოვა გორიცა (სლოვენია) (1:1) |
| ფეიენოორდი (ჰოლანდია) | — | ოდ გრენლანდი (ნორვეგია) (1:0) |
| ბანიკი (ჩეხეთი) | — | მიდლსბრო (ინგლისი) (0:3) |
| რაპიდი (ავსტრია) | — | სპორტინგი (პორტუგალია) (0:2) |
| ლეგია (პოლონეთი) | — | აუსტრია (ავსტრია) (0:1) |
| უდინეზე (იტალია) | — | პანიონიოსი (საბერძნეთი) (1:3) |
| ნასიონალი (პორტუგალია) | — | სევილია (ესპანეთი) (0:2) |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) | — | მილუოლი (ინგლისი) (1:1) |
| ბენფიკა (პორტუგალია) | — | ბანსკა ბისტრიცა (სლოვაკეთი) (3:0) |
| ლაციო (იტალია) | — | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) (3:0) |
| გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) | — | მარიტიმუ (პორტუგალია) (0:1) |
| ბილბაო (ესპანეთი) | — | ტრაბზონსპორი (თურქეთი) (2:3) |
| ვილიარეალი (ესპანეთი) | — | ჰამარბი (შვედეთი) (2:1) |

# ჩეჩნები ბაზელის აფეთქებას აპირებენ

## სტამბოლს ულვაში შერჩა




„ბანიკთან" თავგამოჩენილმა მარკ ვიდუკამ, შესაძლოა, დღეს ვერ ითამაშოს

„ჰერენვენისა" და „მაკაბის" პირველი მატჩი, რომელიც ერთი კვირის წინ ისრაელში უნდა გამართულიყო, იქაური ავიაკომპანიის თანამშრომელთა გაფიცვის გამო გადაიდო. უეფამ გადაწყვიტა, რომ ამ გუნდებს შორის გამარჯვებული ერთ შეხვედრაში გამოავლინოს და ეს თამაში დღეს ჰოლანდიაში შედგება. მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დამატებითი დრო დაინიშნება და თუ საჭირო გახდა — პენალტებიც.

გელზენკირხენის „შალკეს" ახალი მწვრთნელი ჰყავს. რალფ რანგნიკის დებიუტი ლატვიაში „მეტალურგსთან" შედგება. „ხუმარებმა" პირველი შეხვედრა შინ მოიგეს 5:1 და ჯგუფში მოხვედრა არ გაუჭირდებათ.

ახალი თავკაცი დაუნიშნეს „ცრვენა ზვეზდასაც". ორი კვირის წინ ბელგრადელებმა სანკტ პეტერბურგში „ზენიტთან" 0:4 წააგეს და ეს მარცხი მაშინდელ მწვრთნელ ლუბომირ პეტროვიჩს დააბრალეს. პეტროვიჩი წავიდა, მისი ადგილი კი რატკო დოსტანიჩმა დაიკავა და ის სასწაულის მოხდენას ეცდება. აღსანიშნავია, რომ პეტერბურგული ფიასკოს შემდეგ „ცრვენა ზვეზდა" დროებით მილოვან რაევაცმა ჩაიბარა და მის ხელქვეით გუნდმა ჩემპიონატში ორი შეხვედრა მოიგო. მიუხედავად ამისა, კლუბის ბოსებმა რაევაცს დოსტანიჩი ამჯობინეს. „ბედნიერი ვარ, რადგან ყველა სერბი მწვრთნელი „ცრვენა ზვეზდას" თავკაცობაზე ოცნებობს — თქვა დოსტანიჩმა — მჯერა, რომ ოთხბურთიანი სხვაობის გაბათილებას და ჯგუფურ ეტაპზე თამაშს შევძლებთ. რომელიმე ჩემს ფეხბურთელს ამისი თუ არ სჯერა, ჯობს წინასწარ მითხრას და შემადგენლობაში არ შევიყვან".

„ზენიტს" სერბეთში მთავარმეგოლე ალექსანდრ კერჟაკოვი დააკლდება. ფორვარდს გუშინწინდელ ვარჯიშზე ბარძაყის კუნთი დაუშავდა და ექიმმა გართულების თავიდან აცილების მიზნით შინ დარჩენა ურჩია.

ბერძნულმა პაოკმა პირველი თამაში შინ ჰოლანდიურ „ალკმაართან" 2:3 დათმო, შემდეგ კი ჩემპიონატში „პანიონიოსთან" დამარცხდა, რის გამოც პაოკელთა მწვრთნელი ანგელოს ანასტასიადისი გაათავისუფლეს. მის ნაცვლად ავსტრიელი როლფ ფრინგერი დანიშნეს და ანასტასიადისის გაფუჭებული საქმე ავსტრიელმა უნდა გამოასწოროს. „კარგად მესმის, რომ ასეთ დროს ცვლილება შეიძლება მთლად გამართლებული არ იყოს, მაგრამ შევეცდები, გუნდის თამაშის ხარისხი უმოკლეს ვადაში გამოვასწორო" — განაცხადა ფრინგერმა.

„უიპეშტისა" და „შტუტგარტის" ბუდაპეშტურ მატჩში მასპინძელმა მცველმა გაბორ ნაგიმ კევინ კურანი დაამტვრია. „უიპეშტის" პრეზიდენტმა მომხდარის გამო გერმანულ კლუბს ოფიციალურად მოუბოდიშა, თუმც ეს ბოდიში კურანის ვერ უშველის, რომელსაც ექვსკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს. მათიას ზამერს სამაგიეროდ კაკაუ ჰყავს და გუნდიც ჩინებულ ფორმაშია. ასე რომ, „უიპეშტის" გავლა „შტუტგარტს" არ გაუჭირდება პირველი მატჩის 3:1 მოგების შემდეგ.

„სარაგოსამ" ჩეხურ „სიგმას" შინ 1:0 სძლია და საპასუხო შეხვედრის წინ მცველი კარლოს კუარტერო დაუშავდა. „სარაგოსას" კაპიტანს „ლევანტესთან" თამაშის მეორე ტაიმში, მეტოქესთან შეჯახებისას სამი ნეკნი გაუტყდა, ამიტომ ჩეხეთში თანაგუნდელებს ვერ დაეხმარება.

„ბეშიქთაშის" ულვაშა მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე ზოგიერთმა თურქულმა გაზეთმა თანამდებობიდან მოხსნა, მაგრამ ესპანელმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ წასვლას არ აპირებს: „ჩემთვის მსგავსი რამ კლუბის პრეზიდენტს არ უთქვამს. მე მხოლოდ „ბოდო გლიმტთან" მატჩზე ვფიქრობ და ჯერჯერობით კვლავ „ბეშიქთაშის" მწვრთნელად ვრჩები". სტამბოლურ გუნდში დელ ბოსკეს საქმე ცუდად აეწყო. ჩემპიონატში „ბეშიქთაში" უვარგისად თამაშობს და უეფას თასის ჯგუფშიც თუ ვერ მოხვდა, ულვაშას ალბათ ნაღდად მოუწევს სტამბოლიდან გამგზავრება.




ვისენტე დელ ბოსკე „ბეშიქთაშიდან" არ წასულა

ისრაელის არაბული უბნის, ბნეი საჰნინის გუნდი „ჰაპოელი" „ნიუკასლს" შინ ბრძოლას გაუმართავს. „ჰაპოელის" მწვრთნელმა ინგლისში 0:2 წაგების შემდეგ თქვა, არ მეგონა, ასე იოლად თუ გამოვეთრებოდითო. გრემ სუნესი ისრაელში დისკვალიფიცირებულ ნიკი ბათს ვერ წაიყვანს, კრეიგ ბელამის თამაში კი საეჭვოა.

ორი კვირის წინ „რეინჯერსმა" „მარიტიმუსთან" პორტუგალიაში 0:1 წააგო და ალექს მაკლიშის გუნდს ძალუძს საჭირო ანგარიშით მოგება. მით უმეტეს, რომ „ჩაფრებს" ტრავმამოშუშებული დადო პრსო, როსი და კრეიგ მური დაუბრუნდნენ.

„ჰართსმა" პირველ მატჩში შინ „ბრაგას" 3:1 სძლია, საპასუხო შეხვედრაში კი შოტლანდიელებს მთავარმეგოლე მარკ დე ვრისი ვერ დაეხმარება.

„მიდლსბროს", რომელმაც „ბანიკს" 3:0 მოუგო, ჩეხეთში საეჭვოდ შვიდი ფეხბურთელი დააკლდება. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, რაიციგერი, ვიდუკა, ჟობი, ეჰიოგუ, რიგოტი და პარლოუ ტრავმებს უჩივიან და სტივ მაკლარენი დღეს შეიტყობს, თუ რომელი მათგანი შეძლებს მოედანზე გასვლას.

გროზნოს „ტერეკმა" ორი კვირის წინ მცირე სასწაული გააჩერხა და „ბაზელს" მოსკოვში 1:1 დაუზავდა. შვეიცარიაში გროზნოელთა შანსები, ძალიან მცირეა. რუსეთიდან „ტერეკს" 30 გულშემატკივარი გაჰყვება, რომლებსაც შვეიცარიაში მცხოვრები ჩეჩნებიც შეუერთდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**



პირველ მატჩში გაძევებული ნიკი ბათი გრემ სუნესის „ნიუკასლს" ვერ დაეხმარება



# მორატის ნანადირევი

## რობერტო მანჩინი: ვერონი [illegible] ვიერი მეგობარი, მარტინსი მომავალი

*რობერტო მანჩინის „ლაციოს“ თავკაცობიდან „ინტერის“ მწვრთნელად გარდაქმნა საკმაოდ ძნელი საქმე გამოდგა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამოვიდა და დღეს ბევრს აქვს იმის შეგრძნება, რომ „შავ-ლურჯებმა“ თავიანთ ნაღდ ხელმძღვანელს მიაგნეს. ერთი სიტყვით, მასიმო მორატიმ როგორც იქნა გადაიბირა ის, ვისზეც 1990-იან წლების შუიდან ნადირობდა, როდესაც ის ჯერ კიდევ „სამპდორიას“ ფეხბურთელი იყო. დღეს მორატის შეტევის მოყვარე ნიჭიერი ადამიანი ჰყავს ხელქვეით.*

*არადა, მორატიმ მანჩინის შეძენის თაობაზე პირველი ოფიციალური წერილი რომ შეადგინა, 1995 წლის თებერვალი იყო. მას მერე დაიწყო... მილიონერის განბილებათა სერიალი, რომლის პირველი ნაწილი, სადაც მანჩინი ჯერ კიდევ მოთამაშე ვარსკვლავი იყო, წარუმატებლად დასრულდა.*

*ერთი სიტყვით, როდესაც საბოლოოდ ითქვა, რომ რობერტო მანჩინი „ინტერში“ მიდის, უი, რა შუაშია, სად მანჩინი და სად „ინტერიო“, არავის უთქვამს. თავისთავად ცხადია, „ინტერის“ დირექტორატშიც კითხვაზე, ვინ არის წინაალმდეგი რობერტო მანჩინი გუნდის მწვრთნელი რომ გახდეს — მეო, არავის უთქვამს.*

*ასე და ამგვარად, ახლა ყველაფერი იმედის გამართლებაზელაა.*

**— რობერტო, თქვენს „ინტერში“ გადაყვანას გარკვეული ძალისხმევა დასჭირდა. მორატიმ, შეიძლება ითქვას, იწვალა. გვითხარით, რა ურთიერთობა გაქვთ კლუბის მეპატრონესთან?**

— მორატის მას მერე ვიცნობ, რაც „ინტერის“ პრეზიდენტი გახდა. ეს 1995 წელს მოხდა, მაშინ მე ჯერ „სამპდორიაში“ ვთამაშობდი, მას კი „ინტერისთვის“ ვუნდოდი. როგორც კი გავიცანი, მაშინვე კარგი კაცის შთაბეჭდილება დატოვა. ის ყოველთვის აკვირდებოდა ჩემს კარიერას, მქომაგობდა როგორც ფეხბურთელს, შემდეგ როგორც მწვრთნელს და ახლა ვხედავთ, რომ ფეხბურთზე ჩემეულ შეხედულებებს იზიარებს.

**— არადა, იყო მომენტი, როდესაც შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ თქვენ „ინტერში“ ალარ გადადიოდით.**

— დიახ, მართლაც იყო. მაშინ შევშინდი, ვაითუ „ინტერის“ მწვრთნელი ვერ გავხდე-მეთქი. იცით, ადრეც იყო შანსი, ოღონდ ისეთი, შანსად რომ დარჩა და ხორცი ვერ შეისხა. ახლა კიდევ კარგი, ყველაფერი კარგად გამოვიდა.

**— და მაინც, რატომ „ინტერი“?**

— ვფიქრობ, იტალიელი მწვრთნელისთვის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური საქმე „შავ-ლურჯების“ სათადარიგოთა სკამზე ჯდომაა. „ინტერი“ გარდა ამბიციურისა პრესტიჟული კლუბიცაა, რომელსაც მუდამ ტიტულების მოხვეჭა უნდა. მეც ასე ვარ, ასე რომ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ორივე მხარე კმაყოფილია.

**— კი მაგრამ, „ლაციო“?**

— რომში გატარებულმა წლებმა ძალიან დიდი სიამოვნება მომანიჭა, მაგრამ ბოლოს ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ჩემს იქ ყოფნას ეფექტური ალარ ეთქმოდა. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად „ლაციოს“ მადლობას ვუხდი და წარმატებებს ვუსურვებ.

**— გულწრფელად გეტყვით, თქვენ რომ „ინტერის“ მწვრთნელი უნდა გამხდარიყავით, საფეხბურთო საიდუმლოთა შორის ყველაზე ცუდად შენახული საიდუმლო იყო. მილანში დეიან სტანკოვიჩმა, ჯუზეპე ფავალიმ და ხუან ვერონმა ჩამოგასწრეს...**

— იცით, მწამს, რომ თქვენს მიერ ჩამოთვლილ ფეხბურთელებს მარტო მე კი არა, მწვრთნელთა უმეტესობა ისურვებდა თავის გუნდში. დიახ, ამ ტრანსფერებს მე ვუჭერდი მხარს, თუმცა „ინტერს“ ჩემს გარეშეც უნდოდა მათი ყიდვა, ხოლო თავიანთ კლუბებს ეს ფეხბურთელები ტრანსფერზე ჰყავდა დაყენებული.

**— საბოლოოდ რას ემსგავსება თქვენი „ინტერი“?**

— ჯერ ძალიან ადრეა ამაზე საუბარი. ჯერ მხოლოდ პრინციპების ახსნა შემიძლია. მინდა შევქმნა „ინტერი“, რომელიც თავად ისიამოვნებს საკუთარი შემტევი, სანახაობრივი ფეხბურთით. იცით, მსოფლიოში არსებული საქმიანობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიამოვნების წყარო ფეხბურთის თამაშია და მეც ჩემს სამსახურად იმას მივიჩნევ, რომ ყველას შევახსენო — თამაშის დროს მთავარია თავად ისიამოვნო.

**—მწვრთნელობა გსიამოვნებთ?**

— იმის ახსნა, თუ როგორ მიყვარს ფეხბურთი, მე არ უნდა მჭირდებოდეს. ადრე თამაში მიყვარდა, ახლა მწვრთნელობა მიყვარს. „ლაციოში“, სამწუხაროდ, სხვა საკითხებთანაც მიხდებოდა შეხება, აქ კი დროს მხოლოდ ფეხბურთს დავუთმობ.

**— მაგრამ „ინტერის“ სათადარიგოთა სკამი რომ ერთ-ერთი ყველაზე ცხელია...**

— ვიცი. ჩვენ შევეცდებით სანახაობა შევქმნათ, შედეგები კი ამას მოჰყვება.

**— მოდი, მაშინ ფეხბურთელებზე ვილაპარაკოთ. მაგალითად, კრისტიან ვიერით დავიწყოთ.**

— ის თანამედროვე ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი თავდამსხმელია, თუმცა „ინტერი“ მხოლოდ ვიერით არ არის. საერთოდ, არ შეიძლება გუნდმა თამაში ერთი რომელიმე ფეხბურთელის გარშემო ააწყოს. ასეთი მიდგომა წამგებიანია...

**— თქვენ არდადეგები ერთად გაატარეთ? მგონი ზღვაზე იახტებით სეირნობდით.**

— დიახ, ჩვენ მეგობრები ვართ ჯერ კიდევ იმ დროიდან, „ლაციოში“ ერთად რომ ვთამაშობდით, ჩვენ ერთად მოვიგეთ თასების მფლობელთა თასი. კი მაგრამ, რატომ უნდა იყოს ჩვენს შორის რაიმე ხინჯი?

**— შეძლებს ვიერი ადრიანოს მხარდამხარ თამაშს?**

— ცხადია. მაგრამ მოდით, სხვა ფორვარდებსაც ნუ დავივიწყებთ: ობაფემი მარტინსი, ხულიო კრუზი და ალვარო რეკობა მყავს მხედველობაში.

**— მოკლედ, ვიერის არ გაჰყიდით?**

— ამბიციური გუნდი საუკეთესო ფეხბურთელებს არ უნდა ჰყიდდეს.

**— რეკობაზე რაღას ფიქრობთ?**

— აუცილებლად დადგება დღე, როდესაც ის იგრძნობს, რომ „ინტერისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა. მწამს, რეკობა შეძლებს მშვიდად დაელოდოს ამ დღეს.

**— იაპ სტამიც „ინტერში“ რომ არ გადმოვიდა ძალიან დაგწყდათ გული?**

— ცხადია, თუმცა ჩვენ ძლიერი მცველებიც საკმარისად გვყავს და მათ ნიჭიერი ნიკოლას ბურდისო დაემატა.

**— ვერონი?**

— სებასტიანი ზიდანივით არის, ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია. ერთმანეთს ძალიან კარგად ვიცნობთ. „სამპდორიაში“ და „ლაციოში“ ვთამაშობდით ერთად. მე მას მხოლოდ იმას დავავალებ, რასაც ყოველთვის აკეთებდა — თამაშის წარმართვას მოვთხოვ.

**— ფეხბურთელები უნდა მოერგონ თქვენს ტაქტიკას თუ თქვენ აგებთ ტაქტიკას მათი მონაცემების მიხედვით?**

— აქ ერთადერთი სწორი მიდგომა არსებობს — მე უნდა მოვერგო მათ თვისებებს.

**— და რა მიზანი აქვს გუნდს ამ სეზონში?**

— ჩემპიონთა ლიგა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ორი წლის წინ „მილანმა“ საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო და ისე გაიმარჯვა. საუკეთესოს იმედით ვიქნებით.

# უდინეს შედეგი არ ჩაითვალა!

## იკბინეთ რამდენიც გინდათ, ოღონდ იდაყვი არ იქნიოთ

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ გახმაურებული მატჩის, „უდინეზე“ — „ბრეშას“ ანგარიში არ დაამტკიცა. შეგახსენებთ რაც ხდება: კვირას „სტადიო ფურლიზე“, როდესაც ანგარიში იყო 1:1 ბრეშელმა დანიელე მანინიმ გაიტანა გოლი, რის დროსაც ისარგებლა იმით, რომ მასპინძელთა ტრავმირებული მეკარე დე სანქტისი ბალახზე იწვა და წინააღმდეგობას ვერ უწევდა. სამშაბათს „უდინეზეს“ შეფებმა განაცხადეს, რომ მატჩის შედეგს აუცილებლად გაასაჩივრებდნენ, ასე რომ, ეტყობა სადისციპლინო კომიტეტის ხსენებული გადაწყვეტილებით ფეხბურთის ფედერაციამ გადათამაშებისთვის შეამზადა ნიადაგი.

მანინის გოლის ჩათვლამ „სტადიო ფურლის“ სარბიელზე დიდი არეულობა გამოიწვია, ფეხბურთელებმა აურზაური ატეხეს, რის გამოც მსაჯმა მოედნიდან „უდინეზეში“ მოთამაშე ჩეხი ნახევარმცველი მარეკ იანკულოვსკი და „ბრეშას“ მწვრთნელი ჯანი დე ბიაზი გააძევა. სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით ისინი ერთ ტურს გამოსტოვებენ.

კომიტეტმა განიხილა კიდევ ერთი საქმე — კვირასვე „სტადიო ოლიმპიკოზე“, „ლაციოსა“ და „მილანის“ შეხვედრაში რომაელმა თავდამსხმელმა სიმონე ინძაგის მილანელ მცველს, ალესანდრო ნესტას უკბინა. ეს ეპიზოდი ვიდეოფირზეა აღბეჭდილი, მაგრამ ვინაიდან მსაჯს ინძაგი არ დაუსჯია (კბენა არ შეუმჩნევია), კომიტეტმა მხოლოდ ვიდეოფირზე დაუყრდნობით ვერდიქტის გამოტანისგან თავი შეიკავა.

იმავე შეხვედრაში მილანელმა მასიმო ამბროზინიმ ლაციოელი ანტონიო ფილიპინისთვის იდაყვის მირტყმის გამო წითელი ბარათი მიილო და სადისციპლინო კომიტეტმაც ეს ამბავი გამოხმაურების გარეშე არ დასტოვა — ამბროზინი ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.



მორგან დე სანქტისის ტრავმა იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში დაიჭირეს

**ბაკუნა ძიდია**

# რომა დელ ნერის ერგო

*როგორც მოსალოდნელი იყო, იტალიური „რომა“ ლუიჯი დელ ნერის ჩააბარეს. მწვრთნელი, რომელმაც „კიევოში“ მუშაობით გაითქვა სახელი, დედაქალაქურ კლუბს მომავალი ორი წლის მანძილზე უთავკაცებს. დელ ნერი პრესას ოფიციალურად გუშინ საღამოს წარუდგინეს*



დელ ნერი „რომას“ მესამე მწვრთნელია ბოლო ორი თვის მანძილზე. შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსში“ გადაბარგებული ფაბიო კაპელო თავდაპირველად „პარმას“ ყოფილმა თავკაცმა, ჩეზარე პრადელიმ შეცვალა. ცოტა ხანში ამ უკანასკნელმა პოსტი დატოვა, ოფიციალური ვერსიით, ოჯახური პრობლემების გამო.

პრანდელის რუდი ფიოლერი მოჰყვა, რომელმაც სულ 26 დღე იმუშავა „რომაში“ და სახეირო ვერაფერი გააკეთა. რომაელთა უდისციპლინობით გაკვირვებულმა გერმანელმა გაქცევა მას მერე გადაწყვიტა, როცა მისმა კლუბმა 9-კაციან ბოლონიასთან 1:3 წააგო.

ჩემპიონთა ლიგაში „რეალთან“ მატჩში კი „რომა“ მინდორზე ეზიო სელამ გაიყვანა. იმ შეხვედრაში „ჯალოროსის“ წარმატებისთვის რომ მიეღწია, მთავარი მწვრთნელის პოსტზე ეგებ გარკვეული დროით მაინც დაეტოვებინათ, მაგრამ მან თავისი შანსი ვერ გამოიყენა.

რაც შეეხება ჯიჯი დელ ნერის, როგორც იცით, გასულ ზაფხულს იგი „პორტუს“ თავკაცად დაინიშნა, თუმცა რამდენიმე კვირაში დიდი სკანდალით დატოვა პორტუგალია. მიზეზი „დრაკონთა“ პრეზიდენტთან უთანხმოებაა.

ასეა თუ ისე, დელ ნერის ძალიან რთული სამუშაო ელის, რადგანაც „რომას“ სერიოზული პრობლემები აქვს და გუნდი მართლაც მწვავე კრიზისშია. დედაქალაქელთა ახალ მწვრთნელს უკვე მომავალ უქმეებზე მოუწევს პირველი გამოცდის ჩაბარება — „სტადიო ოლიმპიკოს“ მილანის „ინტერი“ ესტუმრება.

**გიორგი ძაძამიძე**

# პერუს ლეგიონი

## სოლანო ნაკრებში დაბრუნდა, ბოკაში დაბრუნება უნდა



ნოლბერტო სოლანო

პერუს ნაკრების თავკაცმა პაოლო აუტორიმ დაასახელა ქვეყნის გარეთ მოთამაშე ის ფეხბურთელები, რომლებსაც მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევი მატჩებისთვის, ბოლივიასა და პარაგვაისთან სათამაშოდ გამოიძახებს.

შეგახსენებთ, რომ ეს კამპანია პერუელებმა ძალიან ცუდად დაიწყეს, მხოლოდ ორ შეხვედრაში გაიმარჯვეს და სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ჯგუფის ცხრილში ბოლოდან მესამე ადგილზე არიან.

ახლა კი ჩამოვთვალოთ უცხოეთში მოთამაშე ის ფეხბურთელები, რომლებიც აუტორიმ დაასახელა: კლაუდიო პიზარო (ბაიერნი), რობერტო პალასიოსი (დეპორტივო კალი), მიგელ რებოსიო (ალმერია), ხულიო გარსია (მორელია), ჯეფერსონ ფარფანი (პსვ ეინდჰოვენი), ანდრეს მენდოსი (მეტალურგი), ნოლბერტო სოლანო (ასტონ ვილა) და სანტიაგო აკასიეტე (ალმეირა)

ჩამოთვლილთაგან რებოსიო და კლაუდიო პიზარო ის მოთამაშეები გახლავან, რომელთაც არგენტინასთან ბოლო თამაში გამოტოვეს, ხოლო ინგლისში მოთამაშე სოლანო საერთოდ ნაკრებიდან წასვლას აპირებდა, უნდოდა ეროვნულ გუნდში ადგილი ახალგაზრდებისთვის გაეთავისუფლებინა, მაგრამ აუტორიმ სთხოვა და დატოვა.

და კიდევ სოლანოს შესახებ, მან განაცხადა, რომ კარიერის ბოლო წლებში სიამოვნებით დაუბრუნდებოდა ბუენოს აირესის „ბოკა ხუნიორსს“.

„ბოკაში დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი, რადგან ვხედავ, რომ გუნდს არგენტინის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დახმარება სჭირდება. გარდა ამისა, „ბოკაში“ თამაში უბრალოდ სასიამოვნოა, თუმცა არის ერთი სირთულეც — 30 წელზე უფროს მოთამაშეს გაუჭირდება იქ თამაში. მოკლედ, ეს ცოტა ძნელია. „ბოკა“ არ არის ის გუნდი, რომელზეც შეიძლება თქვა, რომ იქ კარიერის დასრულებას აპირებ“.

ნოლბერტო სოლანო 29 წლისა გახლავთ.

**პაპუნა ძედია**



კლაუდიო პიზარო



# ჯორკაეფი ბლექბერნს წავიდა

ბოლო დროს „ფულემთან“ მოვარჯიშე იური ჯორკაეფი მოულოდნელად „ბლექბერნში“ აღმოჩნდა. 36 წლის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი „ბლექბერნის“ ახალი მწვრთნელის, მარკ ჰიუზის პირველი შენაძენია, თუმცა შენაძენი პირობითი ნათქვამია, რადგან იურიმ მოკლევადიან შეთანხმებას მოაწერა ხელი და გუნდში ამ პირობით მხოლოდ იანვრამდე დარჩება: მერე უნდა დასხდნენ და გაგრძელებაზე მოილაპარაკონ.

„ფულემთან“ შეთანხმება იმიტომ არ შემდგარა, რომ ჯორკაეფს პირადი პირობები არ მოსწონებია. უბერებელი ფრანგი აცხადებს, თამაში კიდევ ორ წელიწადს შემიძლია და ამით სიამოვნებას ვაპირებო.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

ჩემპიონშიპი, XI ტური

**ბარნლი 1:0 კარდიფი**

1:0 ჩეპლოუ (88)

**ჯილინგემი 0:2 ლესტერი**

0:1 პითი (49), 0:2 დაბლინი (71)

**იფსვიჩი 1:1 რედინგი**

1:0 კუქი (10), 1:1 კიტსონი (26)

**ლიდსი 0:0 სტოკი**

**პრესტონი 1:1 პლიმუთი**

0:1 დუმბე (19), 1:1 კროსველი (66)

**ქუინზ პარკი 4:1 ქოვენთრი**

1:0, 2:0 კურეტონი (32, 41), 2:1 ბარეტი (49), 3:1 კურეტონი (74), 4:1 ფურლონგი (90)

**როტერჰემი 2:3 ქრიუ**

1:0 ბერჩილი (17), 1:1 ეშტონი (19З), 1:2 ლანტი (61), 1:3 ეშტონი (71), 2:3 ბარკერი (87)

**შეფილდ იუნ. 1:0 სანდერლენდი**

1:0 შოუ (67)

**უოტფორდი 0:0 უიგანი**

**ვულვზი — მილუოლი** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 11 | 7 | 1 | 3 | 15:9 | 22 |
| უიგანი | 11 | 5 | 6 | 0 | 20:8 | 21 |
| იფსვიჩი | 11 | 6 | 3 | 2 | 21:14 | 21 |
| ქუინზ პარკი | 11 | 6 | 2 | 3 | 19:16 | 20 |
| სტოკი | 11 | 5 | 5 | 1 | 12:9 | 20 |
| უოტფორდი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:6 | 17 |
| სანდერლენდი | 11 | 5 | 2 | 4 | 17:11 | 17 |
| ვესტ ჰემი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:11 | 17 |
| ბარნლი | 11 | 3 | 6 | 2 | 10:7 | 15 |
| ლესტერი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:11 | 15 |
| შეფილდი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:12 | 15 |
| პრესტონი | 11 | 4 | 2 | 5 | 14:14 | 14 |
| მილუოლი | 9 | 4 | 2 | 3 | 8:8 | 14 |
| პლიმუთი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:16 | 14 |
| ლიდსი | 10 | 3 | 4 | 3 | 9:8 | 13 |
| დერბი | 10 | 4 | 1 | 5 | 14:15 | 13 |
| ქოვენთრი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:16 | 13 |
| ვულვზი | 10 | 2 | 5 | 3 | 14:15 | 11 |
| ბრაიტონი | 10 | 3 | 2 | 5 | 9:14 | 11 |
| ჯილინგემი | 11 | 3 | 1 | 7 | 10:20 | 10 |
| ნოტინგემი | 10 | 1 | 6 | 3 | 10:15 | 9 |
| ქრიუ | 10 | 2 | 3 | 5 | 16:22 | 9 |
| კარდიფი | 11 | 2 | 2 | 7 | 9:18 | 8 |
| როტერჰემი | 11 | 0 | 5 | 6 | 5:14 | 5 |

## გერმანია

ბუნდესლიგა

გადადებული მატჩი

**ჰანოვერი 0:1 არმინია**

0:1 ბაკლი (79)

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, ლალა (დაბროვსკი 55), მატისი (რიკარდუ სოუზა 73), დე გუცმანი, სტაინერი (ლეანდრო 73), კრისტიანსენი, იდრისუ

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

არმინია: ჰაინი, ლენსე, ლანგკამპი, გაბრიელი, შულერი, კაუფი, დამაიერი, ოვომოიელა, შკელა (კ. დურო 71), ბაკლი (გრაინაიზენი 90), ფ. ვატა (ფინკი 84)

მწვრთნელი: უვე რაპოლდერი

გაფრთხილება: ჩერუნდოლო, დე გუცმანი, ლანგკამპი, კაუფი

მსაჯი: გაგელმანი

31 288 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი | 6 | 5 | 0 | 1 | 11:5 | 15 |
| შტუტგარტი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:5 | 14 |
| ვერდერი | 6 | 4 | 0 | 2 | 14:6 | 12 |
| ბაიერნი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:8 | 11 |
| მაინცი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 9 |
| არმინია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| ლევერკუზენი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:11 | 8 |
| დორტმუნდი | 6 | 1 | 4 | 1 | 10:10 | 7 |
| ფრაიბურგი | 6 | 1 | 4 | 1 | 6:7 | 7 |
| ბოხუმი | 6 | 1 | 4 | 1 | 10:12 | 7 |
| ნიურნბერგი | 6 | 1 | 3 | 2 | 10:10 | 6 |
| გლადბახი | 6 | 1 | 3 | 2 | 10:10 | 6 |
| ლაუტერნი | 6 | 2 | 0 | 4 | 10:13 | 6 |
| ჰამბურგი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:12 | 6 |
| შალკე | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | 6 |
| ჰერტა | 6 | 0 | 5 | 1 | 5:6 | 5 |
| ჰანზა | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | 5 |
| ჰანოვერი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.45 | 017 | საუთჰემპტონი-სიტი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 18.00 | 018 | არსენალი-ჩარლტონი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 18.00 | 019 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 18.00 | 020 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 18.00 | 021 | ნორვიჩი-პორტსმუთი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.15 | 022 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 023 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 18.00 | 024 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.05 | 025 | ჩელსი-ლივერპული | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 026 | კრისტალ პალასი-ფულემი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 028 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 17.30 | 029 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 17.30 | 030 | ჰანზა-ჰანოვერი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 17.30 | 031 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 17.30 | 032 | ფრაიბურგი-მაინცი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 17.30 | 033 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 17.30 | 034 | ვერდერი-ბაიერნი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.30 | 035 | არმინია-შტუტგარტი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 19.30 | 036 | შალკე-ბოხუმი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 199 | ალენი-დუისბურგი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 21.00 | 200 | ესენი-აინტრახტი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 21.00 | 201 | უნტერჰახინგი-ერფურტი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 202 | აუე-ტრირი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 17.00 | 203 | ფიურტი-კოტბუსი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 17.00 | 204 | მიუნხენი-ბურგჰაუზენი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 17.00 | 205 | ობერჰაუზენი-კარლსრუე | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 17.00 | 206 | ზაარბრიუკენი-კიოლნი | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.15 | 207 | ალემანია-დინამო | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 041 | კალიარი-ბრეშა | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 22.30 | 042 | კიევო-ლეჩე | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 043 | ატალანტა-ლაციო | 2,9 | 3,0 | 2,4 | 1,47 | 1,31 | 1,33 |
| 17.00 | 044 | მესინა-სიენა | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 17.00 | 045 | მილანი-რეჯინა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 17.00 | 046 | პალერმო-ბოლონია | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 17.00 | 047 | პარმა-ფიორენტინა | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| 17.00 | 048 | სამპდორია-ლივორნო | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 17.00 | 049 | უდინეზე-იუვენტუსი | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 22.30 | 050 | რომა-ინტერი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 051 | ბეტისი-ვალენსია | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 24.00 | 052 | სოსიედადი-ატლეტიკო | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 053 | ალბასეტე-ესპანიოლი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 054 | ხეტაფე-ბილბაო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 055 | ლევანტე-მალიორკა | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 19.00 | 056 | მალაგა-ოსასუნა | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 19.00 | 057 | რასინგი-სევილია | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 19.00 | 058 | ვილიარეალი-სარაგოსა | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 21.00 | 059 | ბარსელონა-ნუმანსია | 1,22 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,09 | 3,57 |
| 23.00 | 060 | რეალი-დეპორტივო | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 275 | სიენა-მესინა | 2,15 | 2,9 | 3,3 | 1,23 | 1,3 | 1,54 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 101 | დინამო(თბ)-ვისლა | 4,4 | 3,4 | 1,5 | 1,91 | 1,11 | 1,04 |
| 19.00 | 102 | გენჩლერბირლიგი-ეგალეო | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 20.00 | 103 | მეტალურგსი-შალკე | 4,4 | 3,6 | 1,65 | 1,98 | 1,2 | 1,13 |
| 20.00 | 104 | დნიპრო-მაკაბი(პ) | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 20.00 | 105 | ჰერენვენი-მაკაბი(ფ.თ) | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| 20.00 | 106 | შტუტგარტი-უიპეშტი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 20.15 | 107 | ცსკა-სტიაუა | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 20.30 | 108 | შატორუ-ბრიუგე | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| 20.30 | 109 | ამიკა-ვენტსპილსი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 21.00 | 110 | სტაბეკი-სოშო | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 21.00 | 111 | დინამო(ბქ)-პარტიზანი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 21.00 | 112 | ლიტექსი-გრაცერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 21.00 | 113 | სიგმა-სარაგოსა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 21.30 | 114 | ლილი-შელბურნი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 21.30 | 115 | ცრვენა ზვეზდა-ზენიტი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 21.30 | 116 | ბეშიქთაში-ბოდიო გლიმტი | 1,25 | 4,8 | 8,0 | 1 | 1,08 | 3 |
| 21.30 | 117 | ბრაგა-ჰართსი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 21.45 | 118 | ჰაპოელი-ნიუკასლი | 4,6 | 3,5 | 1,65 | 1,98 | 1,21 | 1,12 |
| 22.00 | 119 | ბევერენი-ლევსკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.00 | 120 | ოსერი-ოლბორგი | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 22.00 | 121 | ალკმაარი-პაოკ | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 22.00 | 122 | ალემანია-ჰაფნარფიორდური | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 22.15 | 123 | ელფსბორგი-დინამო(ზ) | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 22.15 | 124 | ბაზელი-ტერეკი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 22.15 | 125 | იურგორდენი-უტრეხტი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 22.15 | 126 | მარიბორი-პარმა | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 22.30 | 127 | ფეიენოორდი-ოდ გრენლანდი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 22.30 | 128 | ბოხუმი-სტანდარდი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 22.30 | 129 | აეკ-გორიცა | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 22.45 | 130 | ლეგია-აუსტრია | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.45 | 131 | რაპიდი-სპორტინგი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 22.45 | 132 | ბანიკი-მიდლსბრო | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 23.00 | 133 | რეინჯერსი-მარიტიმუ | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 23.00 | 134 | ლაციო-მეტალურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 23.00 | 135 | ნასიონალი-სევილია | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 23.00 | 136 | ფერენცვაროში-მილუოლი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 23.00 | 137 | უდინეზე-პანიონიოსი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 23.00 | 138 | ბენფიკა-ბ.ბისტრიცა | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 23.30 | 139 | ბილბაო-ტრაბზონი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 24.00 | 140 | ვილიარეალი-ჰამარბი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 345 | 19:15 | ისტრი-მარსელი | 3.1 | 3.0 | 2.17 | 1.52 | 1.27 | 1.25 |
| 346 | 22.00 | ლანსი-აიაჩო | 1.6 | 3.3 | 5.2 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 347 | 22.00 | კაენი-ბორდო | 2.43 | 3 | 2.67 | 1.34 | 1.27 | 1.41 |
| 348 | 22.00 | სტრასბური-ნანტი | 2.4 | 3.15 | 2.6 | 1.36 | 1.24 | 1.42 |
| 349 | 22.00 | მონაკო-ნიცა | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 350 | 22:00 | ბასტია-პსჟ | 2.5 | 3.1 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 351 | 20.00 | მეცი-სოშო | 2.1 | 3.0 | 3.25 | 1.23 | 1.27 | 1.55 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 352 | 20.00 | რენი-ლილი | 2.2 | 3.1 | 2.95 | 1.28 | 1.26 | 1.51 |
| 353 | 20.00 | ტულუზი-ოსერი | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 354 | 23.00 | სტ.ეტიენი-ლიონი | 3.7 | 3.0 | 1.35 | 1.65 | 1.27 | 1.18 |
| | | **II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 355 | ანჟე-კლერმონი | 2.1 | 2.65 | 3.9 | 1.17 | 1.36 | 1.57 |
| 22.00 | 356 | ბრესტი-გრენობლი | 2.1 | 2.8 | 3.6 | 1.2 | 1.32 | 1.57 |
| 22.00 | 357 | ლავალი-გენგამი | 2.45 | 2.7 | 2.9 | 1.28 | 1.32 | 1.39 |
| 22.00 | 358 | ლორიანი-ამიენი | 2.3 | 2.7 | 3.2 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 22.00 | 360 | სედანი-ლე ავრი | 1.9 | 2.7 | 4.5 | 1.11 | 1.33 | 1.68 |
| 22.00 | 361 | ტრუა-კრეტეი | 1.8 | 2.7 | 5 | 1.08 | 1.32 | 1.75 |
| 22.00 | 362 | მონპელიე-ლე მანი | 2 | 2.8 | 3.6 | 1.16 | 1.28 | 1.57 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 363 | შატორუ-გენიონი | 2.2 | 2.8 | 3.3 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 382 | 22.00 | ნაიმეგენი-როზენდალი | 1.65 | 3.5 | 4.32 | 1.12 | 1.19 | 1.93 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 383 | 21.30 | ბრედა-გრააფსხაპი | 1.55 | 3.5 | 5.2 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 384 | 21.30 | პსვ-გრონინგენი | 1.15 | 5.6 | 13 | 1 | 1.05 | 3.91 |
| 385 | 21.30 | ტილბურგი-ვიტესი | 2.0 | 3.3 | 3.15 | 1.24 | 1.22 | 1.61 |
| 386 | 22.00 | ტვენტე-როდა | 2.25 | 3.2 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 387 | 14.30 | ალკმაარი-აიაქსი | 3.8 | 3.3 | 1.8 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 388 | 16.30 | ფეიენოორდი-დენ ბოსხი | 1.15 | 5.8 | 12 | 1.0 | 1.04 | 3.91 |
| 389 | 16.30 | ჰერენვენი-დენ ჰააგი | 1.5 | 3.4 | 6.2 | 1.04 | 1.2 | 2.19 |
| 390 | 16.30 | უტრეხტი-ვალვაიკი | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| | | **II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 391 | 22.00 | სპარტა-ზვოლე | 2.2 | 3.25 | 2.69 | 1.31 | 1.21 | 1.47 |
| 392 | 22.00 | ტელსტარი-კამბური | 2.2 | 3.3 | 2.65 | 1.32 | 1.2 | 1.46 |
| 393 | 22.00 | ვენლო-ეინდჰოვენი | 1.35 | 4.2 | 6.45 | 1.02 | 1.11 | 2.54 |
| 394 | 22.00 | აპელდორნი-ოსი | 2.05 | 3.3 | 2.9 | 1.26 | 1.2 | 1.54 |
| 395 | 22.00 | ვეენდამი-მაასტრიხტი | 1.6 | 3.5 | 4.48 | 1.09 | 1.17 | 1.96 |
| 396 | 22.00 | სიტარდი-ვოლენდამი | 2.5 | 3.3 | 2.31 | 1.42 | 1.2 | 1.35 |
| 397 | 22.00 | იგლსი-ემენი | 2.1 | 3.3 | 2.81 | 1.28 | 1.2 | 1.51 |
| 398 | 22.00 | ჰელმონდი-ექსელსიორი | 2.6 | 3.3 | 2.23 | 1.45 | 1.2 | 1.33 |
| 399 | 22.00 | ჰერაკლესი-ჰაარლემი | 1.6 | 3.6 | 4.3 | 1.1 | 1.16 | 1.95 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 512 | სოგნდალი-მოლდე | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 20.00 | 513 | ჰამარი-რუსენბორგი | 4.0 | 3.4 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 20.00 | 514 | ოდ გრენლანდი-ვოლერენგა | 2.5 | 3 | 2.6 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 20.00 | 515 | ბოდიო გლიმტი-ვიკინგი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 20.00 | 516 | ლინი-ფრედრიკსტადი | 1.65 | 3.5 | 4.2 | 1.12 | 1.18 | 1.9 |
| 22.15 | 517 | ტრომსიო-ბრანი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 944 | სტაბეკი-ლილესტრიომი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 518 | 17.00 | ვარდ ჰაუგესუნდი-სკეიდი | 2.2 | 4.1 | 2.3 | 1.43 | 1.12 | 1.47 |
| 519 | 17.00 | სტარტი-კონგსვინგერი | 1.35 | 4.5 | 5.7 | 1.03 | 1.09 | 2.51 |
| 520 | 17.00 | სანდეფიორდი-ჰაუგესუნდი | 1.35 | 5.0 | 5.4 | 1.06 | 1.08 | 2.59 |
| 521 | 17.00 | ჰიონეფოსი-მანდალი | 1.75 | 4.2 | 3.1 | 1.23 | 1.11 | 1.78 |
| 522 | 17.00 | რაუფოსი-სტრიომსგოდსეტი | 1.8 | 4.2 | 3.0 | 1.25 | 1.12 | 1.75 |
| 523 | 17.00 | ტრომსდალენი-პორს გრენლანდი | 2.7 | 3.9 | 2.0 | 1.59 | 1.14 | 1.32 |
| 524 | 17.00 | ჰიოდი-მანდალი | 1.7 | 3.8 | 3.6 | 1.17 | 1.15 | 1.84 |
| 525 | 17.00 | ბრინი-ალესუნდი | 2.7 | 3.9 | 2.0 | 1.59 | 1.14 | 1.32 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 498 | კოპენჰაგენი-ჰერფიოლგე | 1.4 | 4.1 | 6.5 | 1.04 | 1.15 | 2.51 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 499 | ოლბორგი-სილკებორგი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 17.00 | 500 | ოდენსე-ვიბორგი | 1.7 | 3.5 | 4.3 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| 17.00 | 501 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 1.65 | 3.6 | 4.4 | 1.13 | 1.2 | 1.98 |
| 17.00 | 502 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.8 | 3.5 | 3.8 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 19.30 | 503 | ბრიონდბიუ-რანდერსი | 1.2 | 5.2 | 10.5 | 1.0 | 1.07 | 3.47 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 300 | აბერდინი-დანდი | 1.8 | 3.3 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| 18.00 | 301 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 2.4 | 3 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 302 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 9.5 | 4.6 | 1.25 | 3.09 | 1.1 | 1.0 |
| 18.00 | 303 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1.2 | 5 | 11 | 1 | 1.08 | 3.43 |
| 18.00 | 304 | ჰართსი-ლივინგსტონი | 1.6 | 3.5 | 4.6 | 1.09 | 1.18 | 1.98 |
| 18.00 | 305 | ინვერნესი-მოზერუელი | 2.7 | 3 | 2.4 | 1.42 | 1.27 | 1.33 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 306 | როსი-ფოლკირკი | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 18.00 | 307 | ერდრი-ჰამილტონი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| 18.00 | 308 | პარტიკი-რეითი | 1.5 | 3.6 | 5.7 | 1.05 | 1.18 | 2.2 |
| 18.00 | 309 | კლაიდი-სტ.ჯონსტონი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18.00 | 310 | ქუინი-სტ.მირენი | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 364 | სტ.ტრუიდენი-შარლერუა | 2.4 | 3.2 | 2.5 | 1.37 | 1.22 | 1.4 |
| 22.00 | 365 | მონსი-ბრიუსელი | 1.9 | 3.3 | 3.3 | 1.2 | 1.2 | 1.64 |
| 22.00 | 366 | ანდერლეხტი-სერკლი | 1.2 | 5.5 | 10 | 1.0 | 1.07 | 3.54 |
| 22.00 | 367 | ბეერსხოტი-ლოკერენი | 2.15 | 3.2 | 2.8 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 22.00 | 368 | გენტი-ოსტენდე | 1.4 | 3.6 | 7 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 369 | ბევერენი-ლიერსი | 2.1 | 3.1 | 3.1 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 17.00 | 370 | ვესტერლო-ლუვიე | 2.15 | 3 | 3.1 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 17.00 | 371 | სტანდარდი-მუსკრონი | 1.7 | 3.2 | 4.4 | 1.11 | 1.22 | 1.85 |
| 22.00 | 372 | ბრიუგე-გენკი | 1.35 | 4.3 | 6.8 | 1.02 | 1.12 | 2.63 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 321 | მატერსბურგი-შტურმი | 1.85 | 3.2 | 3.7 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 322 | პაშინგი-ზალცბურგი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 17.30 | 323 | რაპიდი-ბრეგენცი | 1.25 | 4.7 | 9.6 | 1.0 | 1.1 | 3.15 |
| 17.30 | 324 | ადმირა-აუსტრია | 3.8 | 3.1 | 1.9 | 1.7 | 1.26 | 1.17 |
| 17.30 | 325 | გრაცერი-ტიროლი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 326 | კერნტენი-ლეობენი | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 21.00 | 327 | აუსტრია(ლ)-რიდი | 2.3 | 3.1 | 2.7 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 21.00 | 328 | ვიორგლი-უნტერზიბენბრიუნი | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21.00 | 329 | კაფენბერგი-გრატკორნი | 1.42 | 4 | 6 | 1.04 | 1.14 | 2.4 |
| 21.00 | 344 | ლინცერი-ალტახი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.30 | 330 | გრასჰოპერი-სერვეტი | 1.65 | 3.3 | 5 | 1.1 | 1.24 | 1.98 |
| 21.30 | 331 | სტ.გალენი-ციურიხი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.30 | 332 | ქსამაქსი-ბაზელი | 3.4 | 3.3 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |
| 18.00 | 333 | შაფჰაუზენი-იანგ ბოიზი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 18.15 | 334 | თუნი-აარაუ | 1.7 | 3.3 | 4.7 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| | | **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.00 | 426 | ანკარა-გალათასარაი | 4.5 | 3.4 | 1.75 | 1.93 | 1.25 | 1.15 |
| 15.00 | 427 | რიზე-მალათია | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 15.00 | 428 | ანკარაგიუჯიუ-გაზიანთეფი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 429 | დიარბაქირი-საკარია | 1.55 | 3.4 | 5.4 | 1.06 | 1.2 | 2.08 |
| 15.00 | 430 | ფენერბაჰჩე-დენიზლი | 1.35 | 4.5 | 7.3 | 1.03 | 1.13 | 2.78 |
| 15.00 | 431 | ისთანბული-კაისერი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 15.00 | 432 | კონია-გენჩლერბირლიგი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 15.00 | 433 | სამსუნი-სებათი | 1.7 | 3.3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 15.00 | 434 | ტრაბზონი-ბეშიქთაში | 2.1 | 3.0 | 3.2 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 2 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.00 | 458 | ზლინი-სპარტა | 4.0 | 3.3 | 1.8 | 1.8 | 1.24 | 1.16 |
| 22.00 | 459 | სლავია-სლოვაცკო | 1.55 | 3.5 | 5 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 19.00 | 460 | ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 2.0 | 3.1 | 3.4 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 22.00 | 461 | ლიბერეცი-ბრნო | 1.65 | 3.3 | 4.5 | 1.1 | 1.2 | 1.9 |
| 22.00 | 462 | ოპავა-ტეპლიცე | 2.6 | 2.8 | 2.7 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 19.00 | 463 | პრჟიბრამი-ბოლესლავი | 1.65 | 3.3 | 4.5 | 1.1 | 1.2 | 1.9 |
| 19.00 | 464 | ბლშანი-დრნოვიცე | 2 | 3.2 | 3.2 | 1.23 | 1.23 | 1.16 |
| 22.00 | 942 | სიგმა-ბანიკი | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.15 |
| | | ურუგვაი. აპერტურა | | | | | | |
| | | 2 ოქტომბერი | | | | | | |
| 22.30 | 595 | დეფენსორი-პენიაროლი | 2.7 | 3.25 | 2.2 | 1.47 | 1.21 | 1.31 |
| 22.30 | 596 | ფენიქსი-სერიტო | 2.2 | 3.2 | 2.75 | 1.3 | 1.22 | 1.47 |
| 22.30 | 597 | ლივერპული-ნასიონალი | 3.4 | 3.2 | 1.9 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| 22.30 | 599 | რენტისტასი-უონდერერსი | 2.6 | 3.2 | 2.3 | 1.43 | 1.22 | 1.33 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი

TELCREDITI

10

42 00 24

+%


# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უგრეხელიძემ ხელი გაიქნია

## ნაკრებში თუ კიდევ დამიძახებენ, არც დავფიქრდები

*როცა საქართველოს ნაკრებისთვის ცენტრის შერჩევაზე მიდგება საქმე, არ იქნება, დავით უგრეხელიძე არ ახსენონ. „უგრე“ დრაჟენ ბრაიკოვიჩმაც ისურვა სანაკრებოდ და საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მიიწვია, მაგრამ პირადი საქმეების გამო დავითმა ვერ შეძლო ეროვნულ გუნდში ჩამოსვლა. მას დედა გარდაეცვალა და თქვა, მომავალში თუ დამიძახებთ, დაგეხმარებითო...*

*ამასობაში კი, როგორც იქნა, უგრეხელიძე ფორმას იბრუნებს. გაჭიანურებული სატრანსფერო ამბების გადამკიდე ლამის ორი წელია, მოედანზე არ გასულა და როცა ამ გაზაფხულზე სლოვენიურ „პიროვარნასთან“ კოტრაქტი გააფორმა, სწორედ მაშინ უმტყუნა ჯანმრთელობამ. დღეს ის უკვე სრულიად მხნედაა, როგორც ფიზიკურად, ასევე, ფსიქოლოგიურად და „პივოვარნაში“ მონდომებით ვარჯიშობს. გუშინ უგრეხელიძეს ლაშკოში შევეხმიანეთ...*



— სლოვენიაში 9 აგვისტოს ჩამოვედი — „პივოვარნა“ სრულად შეიკრიბა. სავარჯიშოდ მთებში წავედით, ავსტრიის საზღვართან ახლოს, სადაც იდეალურ პირობებში ვიყავით და ფიზიკურადაც ძალიან მოვმძლავრდით.

**— მხოლოდ ფიზიკურად ემზადებოდით თუ ამხანაგური მატჩებიც ითამაშეთ?**

— თავიდან მხოლოდ ვვარჯიშობდით, მერე კი მატჩებიც გავმართეთ, მაგრამ მე არ მითამაშია, დედა გარდამეცვალა და თბილისში წამოვედი... ლაშკოში აგვისტოს ბოლოსკენ დავბრუნდი და მას შემდეგ არაერთ შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა.

**— კარგა ხანია, არ გითამაშია და ხომ არ გაგიჭირდა?**

— წელიწადნახევარზე მეტია, მოედანზე არ გავსულვარ და, რა თქმა უნდა, გამიჭირდა, მაგრამ ეს მაინც ამხანაგური მატჩებია და დიდი ყურადღება არ ექცევა.

**— სწორედ ამხანაგურ მატჩებში უნდა დაამტკიცოს კალათბურთელმა, რომ თამაშის ღირსია. შენ თუ მოახარხე ეს?**

— ვერ ვიტყვი, მწვრთნელები გადავრიე-მეთქი, მაგრამ თავიც არ შემირცხვენია. ვითამაშე საშუალო დონეზე, არავინ იფიქრებდა, შევცდით, უგრეხელიძე რომ გუნდში ავიყვანეთო.

**— რას ფიქრობ, ხუთეულში მოხვდები?**

— ოთხი მაღალი კალათბურთელი ვართ და აქედან გამოკვეთილი ცენტრი ან თავდამსხმელი ერთიც არ არის, მონაცვლეობით ვთამაშობთ ამ პოზიციებზე. ასე რომ, გარკვეული არ არის, ვინ ხუთეულში ითამაშებს და ვინ შეცვლაზე შევა. აქამდე რაც ვითამაშე, უმეტესად ხუთეულში ვიყავი. მერე რა მოხდება, მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**— „პივოვარნას“ ამ სეზონში მრავალ ფრონტზე მოუწევს ბრძოლა და რომელიმე ტურნირისთვის განსაკუთრებით ხომ არ ემზადებით?**

— წლეულს მართლაც ბლომად ტურნირებში ჩავებმებით: ადრიატის ლიგა, ულებ-ის თასი, სლოვენიის ჩემპიონატი და ცალკე თასი. რომელიმე კონკრეტული შეჯიბრის მოგება „პივოვარნას“ უპირობას მიზანში არ ამოუღია, ყველგან მაქსიმუმის მიღწევას ვეცდებით, თუმც ქვეყნის ჩემპიონატი ალბათ მაინც ყველაზე პრიორიტეტული იქნება.

**— წლეულს ფინალი ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიასთან“ წააგეთ, ახლა ალბათ ოქროზეც ფიქრობთ...**

— „პივოვარნა“ მუდამ სამეულშია, ჩემპიონი კი არასდროს გამხდარა. ბოლოს ფინალამდე მივედით, მაგრამ „ოლიმპიას“ წაქცევა ვეღარ მოვახერხეთ. ახლა გაცილებით ძლიერი შემადგენლობა გვყავს, არაერთი სნაიპერი შემოგვემატა და, ცხადია, პირველობისთვის ვიბრძოლებთ.

**— „პივოვარნა“ კი გაძლიერდა, მაგრამ კონკურენტი „ოლიმპიაც“ ხომ მოღონიერდა. სხვებთან ერთად ლიუბლიანელებმა მანუჩარ მარკოიშვილიც შეიმატეს...**

— „ოლიმპია“ კონკურენტია და მისი გაძლიერება არ მესიამოვნა, მაგრამ თავად მანუჩარის ლიუბლიანაში ჩამოსვლა ძალიან გამიხარდა. უკვე მოვახერხე მისი ნახვა, თავიუფალი დღე გამოვნახე და ლიუბლიანაში ჩავედი.

**— ნაკრებზე არ დაგეკითხო, არ იქნება...**

— სამწუხაროა, მაკედონიასთან რომ დავმარცხდით, მაგრამ ამის გამოსწორებაც შეიძლება.

**— შენს სანაკრებო პერსპექტივაზე რას იტყვი? თითქოს ამ მატჩებშიც უნდა გეთამაშა...**

— დრაჟენ ბრაიკოვიჩი შემეხმიანა, მაგრამ ოჯახური პრობლემების გამო უარი ვუთხარი. არ მინდა, ეს ნაბიჯი ცუდად გაიგოს ვინმემ, უარს როგორ ვიტყოდი, პრობლემა რომ არ მქონოდა. ძალიან მინდა, ეროვნულ გუნდში თამაში და მომავალშიც თუ დამიძახებენ, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები.

**ირაკლი პერტაია**

# თეო, დარჩი ჩვენთან

## პორტლენდმა სტეფანიას პრობლემა დაუტოვა

**რეგულარული** სეზონი ახლოვდება, გუნდები მალე საწვრთნელ ბანაკებს დასცემენ და ნბა-ც თანდათან ახმაურდება. კლუბებიც ამთავრებენ სეზონთაშორის სამზადისს და ძირითადად ყველამ შემოიკრიბა მოთამაშეები.

ვოვა სტეფანიას „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა“, რომელსაც არასდროს უჭირდა სოლიდური შემადგენლობის შეკრება, ახლა საქმე წინ წაიგდო და წინა სეზონში „ატლანტადან“ რაშიდ ვოლესის ნაცვლად და შარიფ აბდურ-რაჰიმთან ერთად გადმოყვანილ თეო რეთლიფს ხუთი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი. რა თანხად დაუჯდა ეს სიამოვნება, ოკეანგაღმიდან ამას არ იუწყებიან, თუმცა 208-სანტიმეტრიანი და 107-კილოგრამიანი კაცი-ზამბარა ერთი და ორი მილიონი რომ არ ღირს, ამას მარჩიელობა არ სჭირდება. რეთლიფი ცენტრი გახლავთ, შაკილ ონილივით დიდი და წაუქცეველი ვერაა, მაგრამ ხშირი ტრავმიანობის მიუხედავად იმდენს კი ახერხებს, რომ კარგი მოთამაშეებით გაძეძგილ „პორტლენდში“ დამწყებ ხუთეულში ადგილი შეინარჩუნოს. იმ 32 შეხვედრაში, რომელიც მან წლეულს „პორტლენდში“ გამართა, რეთლიფმა საშუალოდ 7,3 ქულა, ამდენივე მოხსნა და რაც მისი გუნდისთვის ყველაზე ფასეულია, 4,41 დაფარება გაახერხა. „პორტლენდი“ 30 წელზე მეტია, ნბა-ში თამაშობს და ასეთი დამფარებელი არასდროს ჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდში უთამაშიათ დიდ ცენტრებს ბილ უოლტონს, კევინ დაკვორთს და თუნდაც არვიდას საბონისს.

„პორტლენდში“ კი არა, თეო რეთლიფი ბოლო ორი წელია, მთელს ლიგაში საუკეთესო დამფარებელია და თუ რომელიმე ტრავმას არ მკურნალობს, ამ საქმეში დეტროიტელ ურჩხულ ბენ ვოლესსაც სჯობს.

ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთ კარგ გუნდში და ქალაქში დარჩენა მიწევსო, რაღა თქმა უნდა, კონტრაქტის განახლების და სპორტული მომავლის რამდენიმე წლით უზრუნველყოფის შემდეგ ასეთებს ლაპარაკობდა რეთლიფი. თუმცა შარშან ჩვენი გუნდი პლეიოფში ვერ მოხვდაო (პირველად 1982 წლის შემდეგ), მე მაინც აქ მირჩევნია სხვაგან ყოფნასო. ჩანს, „ბლეიზერსში“ მრავალწლიანი ნერვებისწყვეტის შემდეგ სიმშვიდის ერა დადგა და ეს არც არავის უკვირს. ამ გუნდში ხომ აღარაა, მთავარი ამრევი რაშიდ ვოლესი, ვინაც — ესეც გავიხსენოთ და — რეკორდსმენი გახლავთ ერთ სეზონში მიღებული ტექნიკური ჯარიმების რაოდენობაში.

რაც შეეხება ვლადიმერ სტეფანიას, ჩვენებურს ალბათ კვლავ სკამზე ჯდომა მოუწევს, თუ რეთლიფს რაიმე ტრავმამ არ შეახსენა თავი.

**კოტე ყორშია**



თეო რეთლიფი: აქა ვდგავარ და სხვაგან არ მინდა

ყურადღება!

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ განაახლა 1990-1997 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღება

ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე

ტელეფონი: 899 76 21 24, 893 25-14-66

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაბილონის გოდოლი

## ჰოკეისტებო, ისწავლეთ ერთ ენაზე ლაპარაკი!

*მოსახდენი მოხდა: 15 სექტემბერს ნჰლ-ში ოფიციალურად დაიწყო ლოკაუტი. ლიგის 30 კლუბის არენაზე, მხატვრულად რომ ვთქვათ, დიდი ბოქლომი ჩამოკიდეს. ზუსტად ამ დღეს ამოიწურა ნჰლ-სა და მოთამაშეთა ასოციაციას შორის დადებული წინა ხელშეკრულების ვადა და რადგან ახალი არ გაფორმდება, ლიგის კომისიონერი გერი ბეტმენი იძულებული შეიქნა, ლოკაუტი გამოეცხადებინა*





როგორც ჩანს, ლოკაუტი საკმაოდ გიწელება და შესაძლოა, თავის წინამორბედზე (1994 წლის ლოკაუტმა 103 დღე გასტანა) გაცილებით დიდხანს გაგრძელდეს. ბოლო საუბარი მხარეებს შორის 8 სექტემბერს გაიმართა და დისკუსიის ბოლოს გაღიზიანებულმა ბეტმენმა ისტორიული ფრაზა წარმოთქვა — „ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ". მას შემდეგ ახალი შეხვედრის მცდელობა არც ყოფილა.

ვფიქრობთ, დადგა დრო, მკითხველმა უფრო დეტალურად გაიგოს ამ კონფლიქტის არსი. ამისათვის კი ციფრების მოშველიებაც დაგვჭირდება.

მაშ ასე: ლიგამ ზაფხულში განსახილველად 6 ვარიანტი წარმოადგინა, მაგრამ უკლებლივ ყველა მათგანი ერთ აუცილებელ პირობას გულისხმობდა, რომლის თანახმად ნჰლ-ს მესვეურები ეგრეთ წოდებულ „ხელფასის ჭერის" ანუ მაქსიმალური ზღვარის შემოღებას ითხოვდნენ. მათი აზრით, ეს ზღვარი ყოველ გუნდში 31 მილიონი დოლარი უნდა ყოფილიყო. გარდა ამ თანხისა, ნჰლ-ის პროექტის მიხედვით ყველა კლუბს ერთადერთი მოთამაშისთვის ნებისმიერი ხელფასის გადახდის უფლება რჩებოდა. ასეთ მკაცრ მოთხოვნას ლიგა უდიდესი ზარალით ხსნიდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ნჰლ-ს კლუბებმა ჯამში 497 მილიონი დოლარი იზარალეს და 30 გუნდიდან მხოლოდ ექვსმა დააღწია თავი დანაკარგებს. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ კლუბების შემოსავლის უზომოდ დიდი წილი, 75 პროცენტი მოთამაშეთა ხელფასებზე მიდიოდა. შედარებისთვის, საკალათბურთო ნბა-ში ხელფასებზე შემოსავლის 58-60 პროცენტი იხარჯება. ამასთან ერთად 10 წლის განმავლობაში, როდესაც ბოლო ხელშეკრულება მოქმედებდა, ნჰლ-ში საშუალო ხელფასი 733 ათასიდან მილიონ 830 ათასამდე გაიზარდა.

თავის მხრივ, მოთამაშეთა ასოციაციამ, ნჰლფა-მ ასევე მკაცრი პოზიცია დაიკავა. მის ხელმძღვანელ ბობ გუდენაუს თქმით, ზარალის თანხა აშკარად გაზვიადებული იყო და ნჰლ-ს ესოდენ მკაცრი ზომებიც სრულიად უსაფუძვლო. გუდენაუს გუნდმა თავისი გეგმა წარმოადგინა, რომლის მიხედვით მოთამაშეთა ხელფასები 5 პროცენტით უნდა შემცირებულიყო. გარდა ამისა, მოთამაშეთა ასოციაცია ამ დათმობაზეც მიდიოდა: ახალბედები ველარ დადებდნენ ზედმეტად ხელსაყრელ კონტრაქტებს თავიანთ კლუბებთან.

ცხადია, ასეთმა სასაცილო დათმობამ ვერანაირად ვერ დააკმაყოფილა ლიგის მამები და უკვე მსოფლიოს თასის დაწყებამდეც კი ნათელი გახდა, რომ ლოკაუტი გარდაუვალია.

თავად განსაჯეთ, რას მისცემს 5-პროცენტიანი ეკონომია იმავე „რეინჯერსს", რომლის დღევანდელი ბიუჯეტი 80 მილიონ დოლარს უახლოვდება. 5 პროცენტის ჩამოჭრით და ახალბედებისთვის ერთიორი ათასის წართმევით 31 მილიონამდე („ჭერამდე") რომ ვერანაირად დაიყვან 80 მილიონს, ცხადზე ცხადია.

თუმც მოთამაშეთა ასოციაციამ კიდევ ერთი ვარიანტი დაამუშავა და ლიგას ეგრეთ წოდებული „ფუფუნების გადასახადის" შემოღება შესთავაზა, რომლის მიხედვით, რაც უფრო დიდია კლუბის ბიუჯეტი, მით მეტი გადასახადის გადახდა მოუწევს მას. თავისთავად ეს სისტემა ძალიან პროგრესული ჩანს, მაგრამ თანხები, რომელსაც მოთამაშეთა ასოციაცია თმობს, ლიგის აზრით ძალიან მწირია. ამიტომ წინადადება უმალვე უარყოფილ იქნა.

მაგალითად, 50 მილიონი დოლარის ბიუჯეტის მქონე კლუბი ამ თანხის 20 პროცენტს ანუ 10 მილიონს გადაიხდის „ფუფუნების" გადასახადის სახით, 60 მილიონიანი კლუბი 30 პროცენტს და ასე შემდეგ.

სხვათა შორის, სწორედ ასეთი სისტემა მუშაობს ნბა-შიც. ოღონდ იქ ძალიან დიდი ბიუჯეტის შემთხვევაში კლუბებს ლამის 100 პროცენტის გადახდა უწევთ და ამიტომაც ყველა ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ბიუჯეტით შემოიფარგლოს. ასე რომ, თუ ნჰლ-შიც დაახლოებით ასეთ სისტემას შემოიღებენ, ყველა პრობლემა თავისთავად დარეგულირდება. ფაქტობრივად „ფუფუნების გადასახადი" იგივე „ხელფასის ჭერად" იქცევა, ვინაიდან აღარავინ მოინდომებს ბიუჯეტის უზომოდ გაზრდას. თუმც რამდენად შესაძლებელი იქნება ამაში ორივე მხარის დარწმუნება, არავინ იცის.

ასეა თუ ისე, როგორც ყველა კონფლიქტის დროს, დამნაშავე ორივე მხარეა. ლიგამ უნდა შეიგნოს, რომ მკაცრ ჩარჩოებში ხელფასების მოქცევა საქმეს ვერ უშველის. თავის მხრივ ჰოკეისტებმაც უნდა გაიგონ, რომ ჰოკეი მხოლოდ კანადაშია უზომოდ პოპულარული, მაგრამ კანადური კლუბების შესაძლებლობები შეზღუდულია, ხოლო აშშ-ში ჰოკეი მხოლოდ სპორტი №4-ია და შესაბამისად, კალათბურთელების, ფეხბურთელებისა და ბეისბოლისტების ხელფასებთან მათი ჯამაგირის მიახლოვება არარეალურია.

იმედია, რომ ორივე მხარე ამას რაც შეიძლება მალე შეიგნებს, თორემ მარტო სეზონის ნაწილს კი არა, ეგებ საერთოდ ლიგას დავემშვიდობოთ.

**სამველ ლარიბიანი**

ოლიმპიზმი

# არ შეგრჩებათ!

## ინდოეთმა ქალები მოიკვეთა

**მას შემდეგ,** რაც მარკიზ ხუან ანტონიო სამარანჩმა დამსახურებულ პენსიაზე გასვლა ინება და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სავარძელი ჟაკ როგს დაუთმო, სოკ-ის შტაბბინიდან გამოსულ განცხადებებში და საერთოდ ოლიმპიურ ტექსტებში სულ უფრო ხშირად გაისმის სიტყვა „დოპინგი". ოლიმპიურ თაობებს ბელგიელი პრეზიდენტის მმართველობის ხანა სპორტის უპირველეს მტერთან უკომპრომისო და განუწყვეტელი ბრძოლით დაამახსოვრდებათ.

„არ დაინდოთ არავინ, ვისაც სისხლში და შარდში სტეროიდის ნატამალს მაინც უპოვით!" — პირდაპირ ნათქვამია ლოზანის შტაბბინიდან დიდი ოლიმპიური ოჯახის ყველა წევრისთვის გაგზავნილ ნოტაში. სოკ-ის წევრი ქვეყნებიც, ცხადია, მეტ-ნაკლები სიმკაცრით და დიდი ხმაურის თანხლებით ასრულებენ ცენტრიდან წამოსულ განკარგულებას.

ათენის ოლიმპიადაზე ბევრი არ ჩავარდნილა დოპინგზე, მაგრამ ვინც ჩავარდა ყველამ სამაგალითოდ ზღო. ანტისადოპინგო სამსახური, თავისთავად, არც ოლიმპიადის დასრულების შემდეგ წყვეტს ენერგიულ საქმიანობას და მათ მახეში სულ ახალი მსხვერპლი ებმება.

თუმცა ქვემორე ამბავი საკმაოდ ძველია.

ინდოეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ოლიმპიადიდან მოკვეთა ორი თავისი ძალოსანი ქალი, გუშინ კი მათ სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ინდუსი ქალბატონები პრატიმა კურამი და სანამაჩა ჩანუ სახალხოდ ველარასოდეს შეუდგებიან შტანგას, რაკი მათ არ შეისმინეს ყველას გასაგონად მრავალგზის ნათქვამი და ათენში გამგზავრებამდე არ შეეშვნენ წამლის კეთებას — როგორც შემდეგ გაირკვა — ანაბოლიკ ფუროსემიდის ხმარებას.

ამათთან ერთად ასეთივე სიმკაცრით დაისაჯა კიდევ ერთი ინდო ძალოსანი სიპუნ სუნაინა, ვინაც ოლიმპიადაზე არ მიდიოდა, თუმც სპორტულ სამშობლოში ცნობილი პერსონაა — აზიის თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი გახლავთ. ხოლო ინდოეთის ქალთა ძალოსნობის ნაკრების მთავარი მწვრთნელი პალ სინგხ სანდჰუს და მის ბელარუს ასისტენტ ლეონიდ ტარანენკოს აეკრძალათ ინდოეთში საქმიანობა.

„ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ მივიღებთ ძალზე მკაცრ ზომებს ყველას მიმართ, ვინც შემჩნეული იქნება არაკეთილსინდისიერებაში — მკაცრად აცხადებს ინდოეთის ოლიმპიური ასოციაციის პრეზიდენტი სურეშ კალმადი — ჩვენ აგრეთვე გვაქვს მითითება, დეტალურად გამოვიკვლიოთ მწვრთნელთა საქმიანობა და ამ საქმეს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე."

პალ სინგხ სანდჰუ ათ წელზე მეტხანს წვრთნიდა ინდო ძალოსნებს, ხოლო ლეონიდ ტარანენკო, ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონი წლეულს ჩავიდა ინდოეთში და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ინდო ძალოსანთა ოთხკაციანი ნაკრების წინასაათენო სამზადისს.

**კოტე ჯანგავაძე**

კრივი

# ხელი უშვი ჩემს დას!



მენი პაკიაო ისევ გაეხვა შარში

**კვლავ** ხათაბალაში გაება ფილიპინელი მოკრივე მენი პაკიაო. უძლიერეს საშუალოწონოსან და WBA-ს ვერსიით რეიტინგის ლიდერს ორიოდე თვის წინ ფილიპინელი რადიოჟურნალისტის მკვლელობის შეკვეთაში ადანაშაულებდნენ. როგორც ცნობილია, მკვლელმა თავად გაასაღა თავი პაკიაოს პირად მცველად, თუმც გამოძიება ჯერ ვერ ამტკიცებს მის კავშირს მოკრივესთან.

ახლა პაკიაოს სახელი ისევ წამოტივტივდა საშარო საქმეში. ამჯერად ფილიპინელ საშუალოწონოსანს ასევე თანამემამულის, გადმდგარი სამხედრო ოფიცრის მკვლელობის შეკვეთა გამოუჩხრიკეს. მსხვერპლის ქვრივმა ფილიპინების მთავარქალაქ მანილას პოლიციას აცნობა, რომ პაკიაო მის ქმარს აფრთხილებდა, თუ ჩემს გათხოვილ დასთან კავშირს არ შეეშვები, შუბლი გაგეხვრიტებაო.

მოკრივის მენეჯერი როდ ნაზარიო გამორიცხავს პაკიაოს მკვლელობასთან კავშირს. ეგეც არ იყოს, საქმეში ჩახედულთა თქმით, მოკრივე ისევ იოლად დაიძვრენს თავს — არაფერი არ გამიგია, მაგ დროს შინ მშვიდად მეძინაო.

ცნობისთვის: მენი პაკიაო 25 წლისაა, თუმც პროფესიულ რინგზე უკვე 38 გამარჯვების დაგროვება მოასწრო და მხოლოდ ორჯერ დამარცხდა. მის კარიერაში ყველაზე ხმაურიან გამარჯვებად კი შარშან ხოსე ანტონიო ბარერას წაქცევა ჩაითვლება.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS სპეციალურად

# შარაპოვას ვარჯიში

უიმბლდონის მომგები რუსი ვარსკვლავი მარია შარაპოვა ახლა სეულშია და კორეის განთქმულ ღია პირველობაში ჩასაბმელად ემზადება. კორტზე ამ უჩვეულო ტყავის ბურთით ვარჯიში კი, ცხადია, საერთო მოქნილობის გასაუმჯობესებლად ხდება.

# კვლავ ათენში

ათენის პარაოლიმპიადა: პოლონელი ალისა ფიოდოროვა 200 მეტრზე — ტ46 ტიპის მორბენალთა შეჯიბრის სტარტზე.



REUTERS სპეციალურად

# გაფრინდაო

ამერიკული ბურთაობის ულამაზესი წამი სწორედ იმგვარი თაჩდაუნია, როცა მობურთალი ნახტომში გადაევლება მეტოქეს და ბურთს ხაზს იქით ასე დაახეთქებს. გაფრინდაო, იტყვიან ამერიკელები ასეთ დროს. ჰოდა, ასე მიფრინავს დენვერელი „ბრონკი" ეშლ ლეილი, რომელიც სანდიეგოელმა ჯეკ პალმერმა ვერ შეაკავა.



REUTERS სპეციალურად

# სევილიური შემოდგომა

მიილია სექტემბერი და გახურდა კორიდა მაესტრანსას არენაზე. სევილიაში ხესუს მილანი კაი განთქმული მატადორია და ხარსაც ნახეთ, რა მოხდენილად წაუჩოქა.



REUTERS სპეციალურად


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge